



# მეცხემსი

ო ზ ი ც ი ა ლ უ რ ი ბ ა ნ ე მ ო ზ ი ლ ე ბ ა

## უმაღლესი დაჯილდოებანი.

უმაღლესად დაჯილდოებულ არის 6 მაის, 1902 წელს:

ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენით პოდოლის ქორ-ებისკოპოსი კარიანა.

საქართველოს საექსპარტოისამებრ:

ა) წმიდა ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენით: დეკანოზი მიხეილ მძინაროვი.

ბ) მეორე ხარის. ანანს ორდენით: დეკანოზი ისაკ იორდანიანი, დეკანოზი გიორგი იტონიევი, დეკანოზი იოანე ინაევი, ზედამხედველი სენაქის სასულიერო სასწავლებლის არხიმანდრიტი გიორგი, დეკანოზი სიმონ ქაეთარაძე და დეკანოზი დიმიტრი მახათაძე.

გ) წმიდა ანანს მესამე ხარისხის ორდენით: არქიმანდრიტი დასითეოსი, დეკანოზი იოანე ნახაროვი, მღვდელი იროდიონ ნანაბოვი, მღვდელი დიმიტრი კალატოზოვი, მღვდელი დავით ლაქანოვი, მღვდელი მიხეილ ვარდიევი, მღვდელი მათე მირიანოვი, მღვდელი ილარიონ იაევი, სოფ. ლენჯახის ეკკლესიის იგუმენი კლიმენტო.

დ) გულის ჯვრით მისი იმპერატორებთან უდიდებულესობასგან ნაბაქებათ—წინამძღვარი მოწამეთის მონასტრისა არქიმანდრიტი ბესარიონი.

ხელმწიფე იმერატორმა, უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის მოხსენების და უწმიდესის სინოდის დადგენილების თანახმად, უმოწყალესად ნება დართო, რათა ებოძოს საქართველოს საექსპარტოის ვებარქიების საეკკლესიო სამრევლო და წერაკითხვის სკოლათა მეთილყურეს დეკანოზს იანე ვასტორგავს სპარსეთის ურმიის მართლმადიდებელ სასულიერო მისიის დათვლიერების მინდობილების მშენიერად შესრულებისათვის ოქროს მეკრდის ჯვარი მისის იმპერატორებთის უდიდებულესობის კაბინეტიდან.

ხელმწიფე იმპერატორმა, უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის წარდგენის გამო, წმ. ანანს საკავალერო საბქოს უქვეშევრდომილესი მოხსენების თანახმად, უმოწყალესად ნება დართო აწ მიმდინარე წლის თებერვლის 3 დღესა, რათა ებოძოს ზემოხსენებული მესამე ხარისხის ორდენი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს, სტატკი სოვეტნიკს ანთიმოს გორგაძეს.





**განმეზღვევის უწყ. სინოღისა.**

**24 აპრილიდან 1902 წ. № 1687 სასულიერო წოდების ჰირთა დაჯილდოებაზე სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის.**

უქაზისამებრ მათი იმპერატორებათა უდაღბურესობისა, უწმიდესმა და უმართებელესმა სინოდმა მოისმინა წარდგინებანი ეპარქიების მღვდელ-მთავრებისა, მოსკოვის სინოდალნი კანტორისა და სასახლის სამღვდლოების გამგის დაჯილდოებისათვის, მათდამი რწმუნებულ სასულიერო პირთა, სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის, ბრძანეს: საფუძველთა ზედა მოხდენილ მსჯელობათა, უწმ. სინოდი განაწესებს: ამასთანავე წარმოგზავნილ სისა შინა მოხსენებულ სასულიერო პირნი დაჯილდოებულ იქმნენ სისა შინა აღნიშნული ჯილდოებით და ეპარქიის მღვდელ-მთავრების, მოსკოვის სინოდალნი კანტორის და სასახლის სამღვდლოების გამგის გამოსაცხადებლად დაჯილდოებულ პირთა სია დაბეჭდილ იქმნეს „საეკლესიო უწყებებში“.

სია სასულიერო წოდების ჰირთა, რომელნიც დაჯილდოებულ იქმნენ უწმ. სინოდისაგან სასულიერო უწყებისამებრ მათი იმპერატორებითი უდაღბურესობის დაბადების დღეს.

საქართველოს საეპარხოსოში:

- ა) ენჭერთი—ქ. ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიის დეკანოზი რაუდენ გიგაურაფი.
- ბ) დეკანოზობის წარსხათ:—დ. ხონის წმიდი გიორგის ეკლესიის მღვდელი ბასილ ქუთათელაძე და მღ. ე. მაქარაძე.
- გ) იგუშენის ხარისხით:—წინამძღვარი იონ. ზედანის მონასტრისა ბერ-მონაზონი გერასიმე.
- დ) მკერდის ჯვრით უწმ. სინოდისაგან ნაბეჭდით—მღვდელი ბართლომე იანჭოფი, მღვდელი სიმონ ინდუეფი, მღვდელი გიორგი ქელიძე, ხაზინადარი იონ. ნათლის მცემლის მონასტრისა ბერ-მონაზონი ათანასე; მღვდელი იესე გაბელაშვილი, მღვ. სიმონ

ქალაგანიძე, მღვდელი ევანტე თათარიშვილი, მღვ. ისიორე ბერია, მღვდელი ექვთიმე ტალაკვაძე, მღვდელი პეტრე ხოჩოლავა; თანაშემწე სამეგრელოს სასულ. სასწავლებლის ზედამხედველისა ბერ-მონაზონი დავითი, ბერ-მონაზონი ფილიმონი, ბერ-მონაზონი თემისტოკლე, ბერ-მონაზონი ექვთიმე.

ე) კამბაჯვით—მღვდელი სილიბისტრო ხუნდაძე მღვდელი გიორგი ჩაგუნავა, მღვდელი ბორის ევნიამინოვი, მღვდელი ვასილი ნათაძე, მღვდელი ალექსი ვიიტოვი, მღვდელი ერმალოვ ედილოვი, მღვ. იოსებ ტუქუშვი, მღვდელი ნიკოლოზ მაჭავარიანი, მღვდელი გიორგი გულაძე, მღვდელი დავით კაკაუციძე, მღვ. დავით გიორგობიანი, მღვდელი იოანე სალაძე, მღვდელი ტატიანე მიქაძე, მღვდელი ისაონ ჩხაკვაძე, მღვ. სპირიდონ ცირიკაძე, მღვ. სპირიდონ გორდულაძე, მღვდელი სიმონ კანდელაკი, მღვდელი ილარიონ ციკორიძე, მღვდელი იოანე ვეფხვაძე, იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე მღვდელი მელიტონ კელენჯირიძე, მღვდელი თომა დუღლაძე, მღვდელი ვლადიმერ აბრამიშვილი, მღვდელი ვასილ დოლაბერიძე, მღვდელი სილიბისტრო ჩხაიძე, მღვდელი პეტრე მატკავა, მღვდელი იაკობ სინარულიძე, მღვ. ნიკოლოზ ჩხაიძე, მღვ. მაქსიმე თოდუა, მღვდელი ნესტორ კონტრიძე, მკველი ფილიმონ ბრაკიშვილი, მღვდელი იოანე კეკელია, მღვდელი ბესარიონ ელიავა, მღვდელი საბა ვესალავა, მღვდელი არსენ საბაშვილი, მღვ. ავქსენტი თვალთვაძე, მღვდელი ივლიანე ოსიძე.

ვ) უწმიდესი სინოდის ლოცვა-კურთხევით განამტკით—მღვდელი დიმიტრი მეტრეველი, ხობის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი სიმონი.

1902 წლის 28 მარტ. მე-1403 ნომრით აღნიშნული: განაწესებულ იქმნენ ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი სილაბისტრე იმაე სემინარიის რექტორად, ხოლო მის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი ილუმენი სერგი ალექსანდრეს სახელის სამისიონერო სემინარიის რექტორად ამ პირთა არქიმანდრიტის ხარისხზედ აღყვანით და ვიატკის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი მღვდელ-მონაზონი იუსტინე—ქუთაისის სემინარიის ინსპექტორად.





1902 წლის 12—26 მარტ. მე-1117 ნომრით აღნიშნული, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი არქიმანდრიტი გიორგი დანიშნულ იქმნა საქართველოს სინოდის კანტორის წევრად და ქართლ-კახეთის ეპარქიის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვრად.

—

უწმინდესის სინოდის, 1902 წლის 10 აპრ. მე 2815 ნომრით აღნიშნული ბიძანებით, ეცნობა მის მალა-ყოვლად-უსამღვდელოესობას, საქართველოს ეგზარხოსს, მალა-ყოვლად-სამღვდელო აღქმის, რომ უწმიდესმა სინოდმა საქიროდ სცნო დაინიშნოს უწმიდესის სინოდის საქართველოს კანტორის შტატ-გარეშე წევრად საეგზარხოსოს ეპარქიების საეკკლესიო-სამრევლო სკოლების საოლქო მეთვალყურე დეკანოზი იოანე ფსტორგოფი.



იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ღვთისმამადგამლობის თანახმად, მღვდელნი: 1) ს. ბაბის წმ. გიორგის ეკკლესიისა იოსებ გორგაძე 2) ს. ხვანჭკარას წმ. გიორგის ეკკლესიისა ვლადიმერ ფოფხაძე. 3) ზორეთის წმ. გიორგის ეკკლესიისა ჯაფარბატა ფერაძე, 4) ს. ზემო სხეავის სამების ეკკლესიისა იოანე გიორგობაძე, 5) ს. ვაისუბნის წმ. გიორგის ეკკლესიისა მახვილ შუსხი, 6) ს. პატრიკეტის წმ. გიორგის ეკკლესიისა ივანე ფოფხაძე, 7) ს. ყუმისთავის წმ. გიორგის ეკკლესიისა მათე ხედაძე, 8) ს. ბანოჯას წმ. გიორგის ეკკლესიისა იოანე ცეციშვილი, 9) ს. ძველ-ლანიის ეკკლესიისა ზეისიან ფეხაძე, 10) ს. სკანდის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიისა ზორბეგ ხაჭავაძე. 11) ს. ითხვისის იოანე ნათლისმცემლის ეკკლესიისა ვლადიმერ კახანაძე, 12) ს. ტყემლუანის ღვთისმშობლის ეკკლესიისა იოსებ ჩინჭაძე, 13) ს. საღმეტრაოს წმ. გიორგის ეკკლესიისა გიორგი ფოცხვარაშვილი, 14) სოფ. ზემო-მესხეთის წმ. გიორგის ეკკლესიისა ვასილ კანდელაკი, 15) იმერეთის საეპარქიო დედათა სასწავლებელში სჯული მოძღვარი სპირიდონ ჯეჯეიშვილი, მის მალა-ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის აღქმის მიერ დაჯილდოვებულ იქმნენ სკუფითი.



## ❦ ი ს ე ი დ ე ბ ი ა ნ ❦

### დეკანოზი დავით დამბაშიძისგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—ქვეყნისა-ს რედაქციის სტამბაში, ძმ. ჭალაძეების და ე. ბეჟინვილიძის წიგნების მაღაზიაში და ყვირილაში—თით გამოცემულთან.

#### 1. საეკკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. **ლოცვანი** ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადღებელი ეკკლ. უთვარესი ღვთისმშობლის ისტორიული მოთხრობით, ამ ლოცვანში არის მთელი წლ-ს ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთისმშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვანის სრულს თევთა მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართ. წმადნები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყლით 50 კ. და უყდით . . . 40 კ.
2. წესი სწეულის ზიარებისა და ერთელი პანაშვილისა, ფსი . . . 10 კ.
3. სოცნათა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდა (კარგის ყლით) ფ. . 30—
4. ძონდაჯი იოანე ოქროპირის წირვისა უყდით 40 კ. კარგი ყლით . . . 60 >
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საფულო ღვთისმშობლის კონდაკებით ფ. . . 5 >

#### 2. სასწავლო და სასულიერო წიგნები.

1. ღარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, რომელიც უწმ. სინოდისგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში—ფსი . . . 30 კ.
2. იკივე ღარიგება საღმრთო სჯულის სწავლაზედ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამაღლებს ნიშნებით—ფსი . . . 40 კ.
3. დაწყებითი გაკვეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფსი . . . 15—
4. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფსი . . . 40 კ.
5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების



- დროს საქარო სხელმძღვანელო წიგნი—  
ფასი ყდით . . . . . 20 კ.
6. საქართველოს საეკლესიო ისტორია ფასი 45 კ.
3. სამკურნალო წიგნები და დარჩევა ჯან-  
მრთელობის დაცვაზე.
1. ახალ კარაბადინი, მორე გამოცემა და-  
მატებით, რომელიც განხილული, ზოგო-  
ნებული და ნება-დართულია კავკასიის  
საეპიო რეესავან—ფასი . . . . . 1 მ.
2. ღარიგება მხეველობის დაცვასა და თვა-  
ლების მოვლაზე, ფასი . . . . . 10—
4. შესანიშნავი მონასტრები და ეკლესიები  
და ამ მონასტრების აღმამენებელთა ცხო-  
ვრების აღწერილობანი,
1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ.  
განმანათლებელი, ფასი . . . . . 25 კ.
2. ბელათის მონასტერი და ცხოვრების აღ-  
წერილობა მათს დავით აღმამენებ. . . . . 25 კ.
- იგივე რუსულ ენაზე . . . . . 20 »
3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების  
აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.
4. თაბარა-მოწ. ღვთის და კონსტანტინე  
და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . . . . . 5 კ.
- იგივე რუსულ ენაზე . . . . . 10 კ.
5. მარძის მონასტერი, ფასი . . . . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტერი . . . . . 2 კ.
5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაუ-  
ლების აღწერა წყნობრივ სწავლას დარჩეებით.
1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . . . . . 2—
2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . . . . 2—
3. ამალემა პატრიოსისა და ცხოველს-მყო-  
ფელისა ჯვარისა, სურათით . . . . . 2—
4. შობა უფლისა . . . . . 2 კ.
5. მიჩამა უფლისა, სურათით.—ფასი . . . . . 2—
6. ხარამა ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა 2—
7. ბზობა სურათით—ფასი . . . . . 2—
8. აღდგომა სურათით—ფასი . . . . . 2—
9. მიძინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—
10. ბელთუქნელი ხატის ისტორია . . . . . 3 კ.

6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი სა-  
ქართველოს ეკლესიისა, შესანიშნავი საქარ-  
თველოს მეფენი და დედოფანნი:

1. წმიდა მწმ. მე რაფაელი, სურათით, ფასი . . . . . 5 კ.
2. წმ. ნინო ქართველო განმანათლებელი . . . . . 2—
3. მეფე დავით მესამე აღმამენებელი . . . . . 5—
4. თამარ მეფე, სურათით . . . . . 5—
5. გიორგი მთაწმიდელი . . . . . 10—
6. იოანე ზედაზნელი . . . . . 5—
7. შუშანიკი . . . . . 3—
8. ქევენი დედოფალი . . . . . 2—
9. არჩილ და ლუარსაბი . . . . . 5—
10. მეფე დავით III აღმამენებელი . . . . . 5—
1. იგივე ვრცელი . . . . . 15 »

7. რელიგიური და წყნობრივი შინაწის  
წიგნები და საუბრები:

1. წმიდანი ალექსანდრე მთაწმინი: ბასილი  
დიდი, ბრიგორი ღვთის-მამთყვამელი და  
ნიკანო მკრპიანი, სურათებით—ფასი . . . . . 5—
2. როგორ უნდა ემარხულომდე—ფასი . . . . . 3—
3. ცხოვრება წმ. მოც. სწორის დიდის  
მთაწმინის ვლადიმირისა . . . . . 2—
4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული  
პოემა აკაკისა, ფასი . . . . . 5—
5. სიკვდილი მარტოსისა, კონსტანტინე პილა-  
ტოს მემულის წიგნი . . . . . 5—
- 6 ხმა მოძღვრისა სამწყსოსადმი. საუბარს შესწავლა  
იესო ქრისტესი . . . . . 3—
- 7 შეილების მოვალეობა მშობელთადმი . . . . . 3—
- 8 მშობლების მოვალეობა შეილთადმი . . . . . 3—
- 9 ენ არიან ჩვენი ცხოვრების მტერი და როგორ  
უნდა ევლიათ მათ . . . . . 3—
- 10 იუნგებლთ სურფესა ცვათაშინა . . . . . 3—
- 11 საუბარი ღვთის სიტყვაზე . . . . . 3—
- 12 — ზომავზე . . . . . 3—
13. სამგვარი სიკვდილი . . . . . 5 »

8. მოთხრობანი დაბადებულნი.

1. მეთე სოლომონ ბრძენი სურათით—ფ. . . . . 5—
2. მათერი (მოთხრობა დაბადებულამ) სურ . . . . . 5—
3. სიბრძენი იო ძისა ზირაქისა, სურათით. . . . . 5—
4. იოსები . . . . . 5—



# მწყეპსი



მე ვარ მწყეპსი კეთილი: მწყეპსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
მაოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისთვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
მაოველი ჩემდა ყოველი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 8—9

1883—1902

15 მაისი

ბლალოჩანების ზირველი კრება ქ. ქუთაისში,  
6 მარტს 1902 წ.

(გატარება\*)

სალამოსი ოთხი საათიდან კრება გადიდვა იმევე დღის ექვს საათზე. კრება გაიხსნა ისევე ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდიის სასახლეში, ყოვლად სამღვდელოს თავსმჯდომარეობითვე. ამ კრებაზე აღიძრა ბაასი და მსჯელობა საზოგადოდ სამღვდელოებისაგან ეკლესიის ტიბიკონისამებრ ყოველი მღვდელ-მოქმედებისა და განსაკუთრებით სულის მოხსენების

აღსრულების შესახებ. დაწვრილებით იყო მოყვანილი თუ როგორ სრულდება დასავლეთ საქართველოში გარდაც. სულის მოხსენების საქმე, რამდენად ეთანხმება ეკლესიის ტიბიკონს ხალხისაგან სულის მოხსენება და რამდენად დაწვრილებულია ღღევანდელი ჩვეულება ძველი დროის მართლ-მადიდებელი ხალხის ჩვეულებას სულის მოხსენების შესახებ. სამწუხაროდ კრებაზედაც აღმოჩნდნენ რამდენიმე პირნი, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ არსებული წესი—გარდაცვალებულთა „სულის მოხსენისა“ ისე უცვლელად დარჩეს, როგორც დღეს არისო. ზოგიერთები ამას აცხადებდნენ შიშისა გამო, რომ დღეს არსებული წესის შეცვლით სარწმუნოება არ შეირყეს და ხალხის ზნეობაზეც არ იქონიოს ცუდი გავლენაო. ჩვენის აზრით, ზოგიერთების შიში სრულებით უსაფუძვლოა და მასთან

\*) იხ. „მწყეპსი“ № 5 1902 წ.





რაც ეკვივ გვაქვს, რომ ეს უთანხმოება გამოწვეული იყოს, მართლაც, ზემო-აღნიშნული შიშით. საქორა რიგიანად განვუმარტათ ხალხს, თუ როგორ უნდა სრულდებოდეს გარდაცვალებულთა სულის მოხსენება და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხალხი მღვდლის სიტყვას ასრულებს ისე, როგორც ტიბიკონი ითხოვს. ეკლესიის ტიბიკონისამებრ, ყოველი მოქმედება „სულის მოხსენების“ შესახებ მშვენიერად არის განსაზღვრული და განმარტებული და, თუ დღეს სულ სხვა რიგად, უწყსოდ სრულდება სულის მოხსენების საქმე, ეს ჩვენის აზრით, მოძღვრის ბრალია, რომელსაც არ მიუქცევია ყურადღება და არ მოუთხოვია სამწყსოთაგან, რომ მან ტიბიკონისამებრ აღასრულოს სულის მოხსენება და თავიდან აიშოროს სხვა-და-სხვა დამლუპველი და დამაღრიბებელი ჩვეულებანი ვითომდა გარდაცვალებულთა სულის მოხსენებისათვის რომელინც, მართალი რომ სთქვას კაცმა; სრულებით სულის საქმეს არ შეადგენენ...

მართლ-მადიდებელი ეკლესიის ტიბიკონით, უთუოდ წირვა უნდა იქმნეს აღსრულებული გარდაცვალებულთათვის გარდაცვალების მესამე დღეს. ესევე ტიბიკონი ითხოვს, რომ წირვა იქმნეს შესრულებული გარდაცვალებულის მოსახსენებლად მეცხრე და მეორმოცე დღეს და წლის თავზე, ხოლო სხვა დღეებში წირვის შესრულება ანუ საორმოცო წირვა დამოკიდებულია ქირისუფალთა სურვილზე. მართლ-მადიდებელი ეკლესიის ტიბიკონი როცა ნიშნავს წირვის ასრულებას მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეებში, სახეში აქვს გარდაცვალებულთა სულის მღვდმარეობა და ცოცხალთაგან დახმარება უსისხლო მსხვერპლის შეწირვით და საქველ-მოქმედო საქმეებით. ძველი დროის და ესლანდელი დროის ქრისტიანებიც სულ სხვა გვარად ასრულებენ გარდაცვალებულთა სულის მოხსენებას. ერთად ერთი ჩვენი ქუთაისის გუბერნიის ხალხი განიჩივება როგორც თავისი ახირებული გარდაცვალებულთა თვალთ-მაქცური გამოტარებით, ისე მათი სულის მოხსენებით. საქორად მივგანია მოუთხრათ მკითხველს, თუ როგორ იწყება და როგორ თავდება სულის მოხსენება ამ გუბერნიაში. აქ იშვიათად შეხვდებით, რომ მესამე დღეს გაასვენონ გარდაცვალებული და იმ დღეს მღვდელს

აწირვინონ ანუ მეცხრე დღეს სავალდებულოდ მიანდესთ წირვის შესრულება. საზოგადოდ მიღებულია მეშვიდე და მეთუთხმეტე დღეს წირვა და რაზენდ არის დამყარებული ამ დღეებში წირვა, არაინი იცის. მეშვიდე და მეთუთხმეტე დღეს მღვდელს აწირვინებენ და მომზადილ მრავალ სასმელ-სეკემლზე პანაშვიდს შესრულებინებენ. ამ დღეს კიდევ: რომ არ სწიროს მღვდელმა, არაფერია!.. ქირისუფალი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს, რომ, რაც შეიძლება, ბევრი ცხვრები და საკლავები დაკლან და ბევრი საქმელი მოამზადონ. პანაშვიდის შესრულების დროს სუფრებს და მაგიდებს ქვეშ დაკლული ცხოველების გაუკეთებელი თავ-ფეხი, ტყავები და ხშირად ცხოველების გაუწმენდელი შიგნეულობაც არის დალაგებული. მღვდელი შესრულებს თუ არა პანაშვიდს ამ სასმელ-საქმელით გასებულ სუფრაზე გარდაცვალებულის მოხსენებით, ყოველივე სანოვავეს წაიდებენ და მილაგებენ. ამ დროს ქირისუფალთ მოწვეული ჰყავთ ყველა თვინთი მონათესავენი, ზოგან შეძლებულთაგან მოწვეულია მთელი სოფლის მცხოვრებნი და სპატიო პირნი. ეს პურის ქამა და მიპატყებან მხოლოდ მით განიჩივება საღიხნო სადილებისაგან, რომ ამ დროს არ მღვრინან და თამაღებს არ იჩივენ ქამის დროს სადღევრძელობის წარმოსაქმელად. დღემდის იყო კიდევ ჩვეულება, რომ ვისაც რა მორჩებოდა სადილზე, უნდა წაეღო თავისი, ესრედ წადებული „ულუფა“ როგორც მღვდელს, ისე ერს. სულის მოხსენებისათვის წირვები და აღაპები უნდა შესარულონ უთუოდ ხსნილის დღეებში ღმარხვაში ეს, თითქმის, შეუძლებლად მიანათა, როგორც მკითხველი ხედავს, სულის მოხსენების საქმე დასავრეთ საქართველოში ისე გადასხვაფერდა, რომ აღარეითარი მსგავსება არა აქვს პირველი ქრისტიანების სულის მოხსენებასთან. აღარ ეთანხმება არა თუ პირველი ქრისტიანების დროის სულის მოხსენებას, არამედ სხვა — ესლანდელი დროის ქრისტიანებისასაც, მაღლობა ღმერთს აქა-იქ არიან შეგებული პირნი, რომელიც არ ასრულებდნ სულის მოხსენების საქმეს ისე უმგვანოდ, როგორც საზოგადოდ ეს შემოღებულია სოფლებში.

დღევანდელ ჩვენს სამღვდლოებას არ შეუძლია თავის გამართლება და იმის თქმა, რომ ხალხი



თავისას არ იშლის და ჩვენი არა ესმის რაო. არ შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ მრევლმა თავისი მღვდლის დარიგება არ შეისმინოს, თუ იგი მათ სრიგინად დაარიგებს და თვითონაც ხასიათის სიმტკიცეს გამოიჩინს. წინათ ისე იყო დაყენებული საქმე, რომ სოფლის მღვდელი დიდ შემწევობას და ცხოვრების საშუალებას იღებდა მიცვ. სულის მოხსენების ასრულებიდან. ჩვენ ვიცით, რომ საჩივრებიც ხშირი იყო მცირე ხორაგულობის მიცემისა და დაწუნების შესახებ. მრევლი ისე შეეწევა ამ „ქელსების, ცხვრების და საღმრთოების“ აღსრულებას, რომ, მართლდაც, მისი ერთბაშად მოსპობა ძლიერ ძნელია. მაგრამ მღვდელი უნდა ეცადოს და ყოველი დღე იხმაროს სულის მოხსენების საქმე დააყენოს იმ წესზედ, როგორც იგი სრულდებოდა პირველ ქრისტიანებისაგან და როგორც თხოულობს ტიბიკონი ჩვენი ეკლესიისა. აი როგორ ასრულებდნენ პირველი დროის ქრისტიანები სულის მოხსენების საქმეს. დანიშნულ დღეებში მიუცილებლად უნდა შეესრულებიათ წირვა და პანაშვილები. ვისაც შეძლება არ ქონდა, მარტო წადილს მოამზადებდა და თითო კოვზს დაურიგებდა დამსწრე ხალხს. შეძლებულები უთუოდ მოამზადებდნენ სანოვაგეს. მაგრამ დიდებულებს, მონათესავეთა და მეგობრებს კი არ მოიწყევდნენ შინ, არამედ მთელ სანოვაგეს ეკლესიაზე წაიღებდნენ და იქ თავმოყრილ გლახაკებს და ღარიბ და გაჭირვებულებს დაურიგებდნენ და აჰმევენ. შეძლებული კაცები ისე სასირცხოდ მიიჩნევდნენ გარდაცვლებულთა მოსახსენებლად მომზადებულ საქმელების ქამას, როგორც მათხოვრებთან ერთად დაჯდომას და ხელ გაშვებული მოწყალების თხოვას. ტიბიკონისამებრ, ამ დამზადებული საქმლის მიღება შეეძლო გლახაკებთან მხოლოდ სამღვდლო და საეკ. მოსამსახურეთაც, რომელთაც საკუთარი ქონება არ ჰქონდათ ტრომელნიც ეკლესიებზე იდგნენ და მრევლი არჩნდა მათ. სანოვაგის მომზადება სულის მოხსენების დროს ამ მიზნით და ამ სახით, რასაკვირველია, დღესაც კარგი და საქები საქმე იქნება. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს სულის მოხსენების საქმე სულ უკუღმართად ვსმის ჩვენს ხალხს. რამდენი კაცი ვარდება ვალში საკლავების სასყიდლად და რამდენი ხარჯი მიდის სულის მოხსენების

შესასრულებლად? ვინ ხმარობს ამ ხორაგს და ვისთვის მზადდება იგი? შეძლებულთა, პატრიცებულთა და დიდებულ პირთათვის, რომელთაც დღეს სრულებით სასირცხოდ არ მოიჩნიათ მიირთვან და შეექცნენ იმ საქმელებს, რომელნიც, ეკლესიის ტიბიკონისამებრ, გამზადებული უნდა იყოს მხოლოდ გლახაკთა და დატკათათვის. რამდენი შემთხვევა ყოფილა, რომ გარდაცვალებულს თავისი ავადმყოფობისა და მოთხოვნილების დროს საშუალება არ ჰქონია, რომ ხორცის საქმელი ემოვა და მისი სიკვდილის შემდეგ მრავალი მისი ცხოველები იკვლის და საზოგადოება დროს ატარებს!.. დრო არის, დრო, რომ სამღვდლოებამ ყურადღება მიიქციოს ამ სამწუხარო მოვლენას და სულის მოხსენების საქმე დააყენოს ისე, როგორც ამას თხოულობს ტიბიკონი და ძველი ქრისტიანული ჩვეულება. ჩვენი ეკლესიის ტიბიკონით, პანაშვიდის შესრულების დროს საჭიროა მარტო წადილი და არა აუარებელი სანოვაგე ცხოველების ტყავითა და შიგნეულობით... საქმელების კურთხევა სხვა არის და პანაშვიდი სხვა...

მათმა მეუფებამ კრებას უბრძანა, რომ „სამღვდლოების პირდაპირი მოვალეობა არის ხალხი მიაჩვიოს პირველ-ყოფილის წირვის ასრულებას და ლოცვას ეკლესიაში თავიანთ გარდაცვლებულთა მოსახსენებლად და თუ შეძლება ნებას აძლევს სანოვაგე მოამზადოს, მაგრამ შეძლებულთათვის კი არა, არამედ გლახაკთა, დაერდომილთა და გაჭირვებულთათვის“. სრული იმედია, მათი მეუფება იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი თავის მწყემს-მთავრულ ყურადღებას მიაქცევს ამ სამწუხარო მოვლენას და ხალხს იხსნის იმ დამღუბველ ხარჯებისაგან, რომელსაც ენლა ჩადიან განსაკუთრებით სოფლებში სულის მოხსენების დროს. იმედია, რომ მათი მეუფება მისცემს ამ საგნის შესახებ სახელმძღვანელო ბრძანებას, რომ თვით სამღვდლო პირთა უწევონ სამწყსოს მაგალითი ისე, როგორც ნაბრძანები იყო თვალთმაქცური გამოტირილის მოსასპობლად.

დაამსწრე.



### რედაქციების გასაფრთხილებლად.

ყოველ დღიური გაზეთების მდგომარეობა ამ ბოლო დროს მეტის მეტად გაჭირვებული შეიქმნა. რედაქციებს სურსთ, რომ საქართველოს ყოველ კუთხიდან მოსდიოდესთ საინტერესო ცნობები, საინტერესო ცნობების მოწერა კი შეუძლიათ მხოლოდ რიგიანად მომზადებულ კორრესპონდენტებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს რიგიანი კორრესპონდენტები, საქმის მკოდენი და ჩვენი ხალხის ცხოვრების ნამდვილად თვალ-ყურის მდევნელნი არ არიან. დღეს ყოველ დამაში ნამდვილ კორრესპონდენტების მაგირ გამრავლდენ ესრედ წოდებული—მჯღაბნელი კორრესპონდენტები, რომელნიც დაწერილის სიმართლეს კი არ დაქმებენ, არამედ თავიანთ თავმოყვარეობას და სხვა რაღაც ახირებულ მიზნებს გაჰყოლიან. სხვა-და-სხვა ცრუ ამბების წერის დროს სახეში აქვსთ არა საქმის დახმარება, არა სიმართლის გამოავსარება, არამედ თავიანთ ამხანაგების ქება-დიდების შესხმა და წვრილმანი—სასიცხო და არა კვილი მიზნები. ეს საცოდავი მჯღაბნელი კორრესპონდენტები ღობეს ამოფარებიან და სხვა-და-სხვა პსევდონიმების წყალობით, გაბეულად ისვრიან ტლახს. ადგილობრივმა საზოგადოებამ კარგად იცის, თუ რა შეილები არიან ეს ჩვენი კორრესპონდენტები და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მათნაწერს, და არც რიგია მათ კაცმა ყურადღება მიაქციოს!..

ამ შემთხვევაში ჩვენ მივაქცევთ თბილისის ქართულ გაზეთთა რედაქციების ყურადღებას დ. ყვირილის ესრედ წოდებულ კორრესპონდენტებზე, რომელთა სახელია „დურბინი“ და მისი კომპანიაა. ამ ვითომდა კორრესპონდენტმა „ც. ფურცელს“ დაბეჭდვინა შემდეგი სიტყუე: „ამას წინანდ გწერდით, რომ ყვირილის სამოქალაქო სკოლის დროებით სახლის დაქირავებისათვის და მის მოწყობისათვის კომიტეტი ამოირჩიეს მეთქი. კომიტეტი, რადაც მიზეზისა გამო, არ მოქმედებდა და ამიტომ წარსულ კვირას ხელ-ახლა შეიკრიბა საზოგადოება და ნაცვლად ძველ კომიტეტისა ამორჩეულ იქმნა ახალი კომიტეტი. ახალი კომიტეტი საიმედო პირთაგან არის შემდგარი. სახლი დროებით უკვე დაქირავებულია. ჯერ-ჯერობით არ არის გადაწყვეტილი, სად უნდა იქნეს აწენებული სასწავ-

ლებელი. ადგილს მუქთად იძლევიან სამ ალაგას: სამ ქვეა ალაგს სწორადენ საყვარელოდებები, სამს—ქვინა-გუნცადებები და ხუთს კი ღამაშიდებები. ეს უკანასკნელი ნაქვერი მიწა დაწორებულია დაბახზე, ამიტომ ექვს ვარეშეა, რომ იქ სასწავლებელი არას გზით არ იქნება. დარჩა ორი ნაკვეთი ადგილი—როგორც მოსალოდნელი იყო, ამან გამოიწვია ცრუ უთანხმოება“ და სხვ...

კომიტეტს ჰქონდა მინდობილი საზოგადოებისაგან ადგილის მენატრონებთან მოლაპარაკება, თუ ვინ რა პირობით დაეთობოდა ადგილს სკოლის შენობისათვის და რამდენს. ეს კომიტეტმა შესარულა. კომიტეტს ჰქონდა მინდობილი სახლი დაქირავებისა სკოლისათვის. ესეც ამ კომიტეტმა შესარულა რიგიანად და თავის დროზე—ნორმალური სკოლის ზედამხედველს სურდა სასკოლო ნივთებისათვის კომიტეტს გარდახედვენიება საზოგადოებისათვის 1014 მ. ზ შეეტანა სახალხო სკოლების დირექტორის სახელზე, მაგრამ ჩვენ არ ვახდით თანახმა, როგორც წვერი კომიტეტისა, რადგან ჩვენ სასკოლო ნივთები უნდა მიგვეცა და არა ფულები და, სასკოლო ნივთები უფრო ნაკლები დაგვიჯდებოდა 1014 მანეთზე. სასკოლო ნივთების ვაცემა ვაჭრობით სურდა კომიტეტს და დაბარებულოც იყვნენ ამ ნივთების გაკეთების მსურველნი. მაშ, რაში ვერ მოქმედებდა კომიტეტი? ღამაშიდებებს მიწა ერთი ქვევის მეტი არა აქვსთ, რომელზედაც კიდევ დასახლებული არიან და საიდან მოქორა ხუთი ქვევის მიწის შეწირვა ღამაშიდებებისაგან „დურბინმა“—ვერ ვაგვიცია. მიწის ამორჩევაზე უთანხმოება ჩამოვარდაო. ეს ამბავიც სიტყუე.

აი, როგორ სიტყუეს აბეჭდვიანებენ გაზეთებს ეს ეხლანდელი მჯღაბნელი კორრესპონდენტები და საქორა მეტად გაფრთხილებული იყვნენ რედაქციოების. თუ ნამდვილად არ იცნობენ რედაქციები ცნობის მიმწერთ, არ უნდა ენდობოდენ ყოველ მჯღაბნელს და არ აცხადებდენ ცრუ ამბებს ნაბდვილად. ამისთანა ცრუ ამბების ბეჭდვით, ბეჭდვითი სიტყუვას რწმენა ეკარგება მკითხველი საზოგადოებისაგან და ამის წყალობით ნამდვილიც აღარა სჯერაო.

არის კიდევ ერთი შესაწინევი თვისება ამ „კორრესპონდენტებისა“, რომელსაც ყურადღება უნდა მიაქციოს რედაქციებმა, ხშირად სხვედონიმების წყალობით თავიანთ თავს აქებენ გაზეთებში... ხანდისხან კი ორი ამისთანა ცრუ კორრესპონდენტები ერთი ერთმანერთს აქებენ და აღიღებენ!..

დგე. დ ღამაშიდე.



სახისტორიო მასალა.

საქართველოს გაერთიანების აზრი

მე-XVIII საუკუნეში (1789 წ.).

დასასრული\*)

მეფემ პასუხი ვერ მისცა. გაცოცდა მასზე, როცა ამით დედოფლის თანხმობაც განუცხადეს, რადგანაც დედოფალი ერეკლეს წინაშე მკაცრი წინააღმდეგი იყო ერთობისა, ჩემს სამშობლოსა ოჯახს როგორ შეიძლება, რომ ტახტი წაერთვას და გამოეწიროსო. როგორ შეიძლება ესაო, მე ამის ნებას არ მოგცემთო. იმერეთის დესპანებმა დედოფლის აზრი შეიტყეს, შეიტყეს, რომ იგი შვერთების წინააღმდეგი იყო, დესპანი წავიდნენ და კერძოთ დედოფალს ავედრეს და ამუდარეს სიცივე ერთობისათვის. დედოფალმა ნება მისცა და განაცხადა ერთობის სურვილი, უკეთუ მეფეთ ჩემს ნაშობს იულონს მიიღებთ და არა ჩემს გერსა და მის შვილებსო. დესპანთ თანხმობა განუცხადეს, ოღონდ ერთობა მოხდეს და იულონი იქმნეს მეფეთაო. მაგრამ საუბედუროთ ეს არ იქნა ქართველთაგან შეწყნარებული, მეფეთ ითხოვნდნენ გიორგის, ან მის შვილს და ერთ რიგისა და სამეფო წესისამებრ გამგეობას და მეფობას. მეფე ერეკლე საშინელს მდგომარეობაში ჩაუარდა, არ იცოდა საქმისთვის რაფერ მოეფლო და ეპატრონებინა, რა პასუხი მიეცა იმერთათვის.

ამ დროს წარსდგა იოანე მუხრან-ბატონი და მოახსენა მეფესა და კრებულს:

იმერეთის შეერთება ჩვენთვის ერთობ ძნელი საქმეა, ოდესმე თუმც გვექონია ერთობა, მაშინ ძალიც გვექონია ამისთვის. დღეს უძღლურნი ვართ. ჩვენ ქართველებს ვერ მოგვივლია თვით ჩვენის ქართლისთვის, ჩვენის თავისთვის ვერ გვიპატრონები, როგორ მოვუაროთ იმერეთს, როდესაც მას თავისი პატრონი მეფე და მეფის ნათესავნი ჰყავთ, რათ წაუართვად ტახტი სოლომონის ნათესავთა, ოდიშის და გურიის მთავრებსა. ჩვენ ჩვენი ქვეყანა

გვაქვს და ჩვენ ჩვენსას უნდა მოვუაროთ. ამას მიემხრნენ მრავალნი ქართლის თავადნი და ამტკიცებდნენ ერთობის უარყოფას. ამან განარიცხა დავით სარდალი დემურაშვილი, ეს წარსდგა წინაშე კრებისა და მეფეს მოახსენა განრისხებით: — მართალს ბრძანებს იოანე მუხრან-ბატონი, რომ ჩვენ ვერ მოვუვლით ქვეყანასაო, ერთობას ვერ ვიტვირთებთო. ქეშმარიტად რომ იგი ვერ მოუვლის თავის ხმლით ქვეყანასა და მაგის ზრახვანი ვერ აიტანენ ქვეყნის ერთობას. მაგრამ მოვახსენებთ მეფეთ, რომ ყოველთვის ხომ იოანე მუხრან-ბატონი არ იქნება და მისნი თანამოაზრენი მუხრან-ბატონი დღეს თუ ვერ მოუვლის ქვეყანას თავის ხმლითა და მათრახით, მოვა დრო, მოვლენ სხვა მუხრან-ბატონები და ისინი შეიწყნარებენ და შეითვისებენ ერთობის აზრსა. მე ვითხოვ პირველისამებრ სიტყვასა ერთობისა და არ შეწყნარებას იოანე მუხრან-ბატონის სიტყვისასა. დავითი აღელვებულ იქნა ამასზე. დავითს შეუდგა ჰახუა და მოახსენა:

ერთობა ქართველთა არის ძალია ქართველთა. მეფეთ დასმულ უნდა იქმნეს კანონიერი მემკვიდრე ტახტისა, რათა ამზოხი არ დაიბადოს და მერმისთვის აღრევა არ იქმნეს ტახტის მოცილითა ბატონიშვილთა, და ერთხელა და სამუდამოდ გაწესდეს წესი და რიგი მეფის მემკვიდრეთა მეფეთ დასმასა და კურთხევისასა, ისევე, როგორც ძველათ ყოფილა ეს.

მეფემ არაფერი სთქვა და კრება დიშალა. კრების შემდეგ დარეჯან დედოფალმა დაიბარა ქაბუა ორბელიანი და განრისხებით სტუქსა იგი და დავით სარდალი: თქვენ გიორგი მეფის ემხრობით ეგ მის სტუენებით ხდებოდა, დავით სარდალი მუხრან-ბატონის მტრობას და შუღლს სწევსო, მე ვერ მოვითმენ ამასაო. ქაბუამ მიუჯო დედოფალს:

ბატონო დედოფლო, ქვეყნის და ერთობის ორგულათ მე ვერ შევიქნები. თქვენ რაც გენებოთ ის ბრძანეთ, მევედრეთ, მაგრამ მე მიანც ჩემს უცვალებელს ჰაზრზე ვიქნები სიმტკიცით რადგანაც აზრი ჩემი არის სასარგებლო ქვეყნისათვის, ერთობისათვის და ერთ-მეფობისათვის. ერთობამ განგვაძლიერა და ერთობავე უნდა გვექონდეს. თქვენ რაც გენებოთ ის და მე კი ვერ გავხდები ორგული ჩემის ქვეყნის, მეფობის და ერთობის.

\*) იხ. „მწყემსი“ № 6. 1902 წ.





ჩემი აზრები უყვალბლათ და მტკიცეთ დარჩება ჩემს სიკაცხლეში, მე ყოველთვის ერთობისა და ერთ-მეგობრის მთხოვნელი ვიქნები და ეს თუ ვერ მოხერხდება, მე მაინც ჩემს აზრებს არ შევიცვლი, მოვედები და ერთობის აზრს საფლაფში ჩაიტან და არ კი შევიცვლი. რათ ბრძანებთ, რათ მავალბებთ და მათიცებთ, რომ მეფის მტერი ვიქნე, ქვეყნის ორგული, ერთობის არა მოსურნი... დედოფალი, დარღვეულმა ცხოვრებამ დაარღვია ერი და ქვეყანა, მე კარგად ვხედავ დარღვეულის ცხოვრების ნაყოფს, მე ვერ ვიტყვირთებ თქვენს დავალბებს, მე ვარ მჩრეველი მეფისა და ერისა, მჩრეველი ერთობისა, მერქვას ამის სახელი და ვიქნე მრავალთაგან არ შეწყწარებული!?, მაგრამ მე ვერ ვიზამ საეშმაკო საქმეს, ბორჯტის კაცის მსგავსად ქვეყნის მტრობას და ორგულობას ვერ გავწევ. ქართველებს აუარებელი სისხლი უღვრიათ ქვეყნისა და ერთობისათვის და მეც როგორც ერთგული მეფისა და ქვეყნისა ვითხოვ ერთობას და ერთ-მეგობრს. გაბედლი და უშიშრთ მოგახსენებთ, დედოფალი, რომ მე არ მოგვცებთ ამის ნებას, რომ თქვენ ერთობა მხოლოდ იულონის გამეფებით მოინდომოთ. ეს არ შეიძლება. ესეთი საქციელი კვლავ დაბადავს ამბოხს მთავართა და ერთა შორის. მეფედ ცნობილ უნდა იქნეს მემკვიდრე ტახტისა და მფლობელი პატრონი მეფობისა მეფუროსობით...

დარეჯან დედოფალი სასტიკათ განარისხა ქაბუას სიტყვამ. ყველაფერი თავის ვერს გიორგი მეფეს მიაწერა. დედოფალთან მივიდნენ ქუთათელი, გენათელი და სხვა სამღვდელონი და ეუბნებოდნენ კრძალულებით ერთობის მნიშვნელობას და ერთობის მიღებას, თორემ შემდღეში იმერთა ტახტიც დაიმსხრევეა და თქვენის გვარის დადიანის ოჯახიცაო. დოსითეოს ნეტარესელმა მალალის ხმით ამცნია ერთობის მნიშვნელობა და მემკვიდრის გამეფება, თუმც ისიც მოახსენა, რომ გიორგი არა არს ღირსი მეფობისა, უმჯობეს იქნებოდა, რომ მის შვილის დავითს მიეცეს იმერთის ტახტიცა და ერეკლეს შემდღევაც იგი გამეფდეს ქართლ-კახეთის ტახტზე და ამ სახით შეერთდეს საქართველოვო.

დედოფალს მაინც ვერ შეაცვლივინეს უგვანი აზრი, იგი მკაცრი წინააღმდეგი იყო ერთობის ამბობდა: იმერთის და სამეგრელოს ტახტი

მოიშალოს და შეერთებულ იქნეს მაშინ, თუ მეფედ იულონი იქნებოა. წინააღმდეგ შემთხვევაში წინააღმდეგი ვიქნები მოა.

შემდგე ამისა იქნა კრება და რჩევა. ქაბუა ორბელიანმა აღიმალა ხმა და მოახსენა მეფეს:

მეფეო და დიდებულნო, შეერთება კართლ კახეთ-იმერეთისა არს სიმტკიცე და ძალი ქვეყნისა. განგითვარებთ, რომ ჩვენი ქვეყანა დაეცა იმ დროს, როცა ერთობა დაგვერღვა. თუ გვსურს, რომ დავითაროთ ქვეყანა და მეფობა ჩვენი, უთუოდ უნდა მოხდეს ერთობა და ერთ-მეგობრა. თუ წინააღმდეგი ხართ მეფობისა და ქვეყნისა, მაშინ ჰყავთ ასე, მაგრამ მოგახსენებთ, რომ მერმისისთვის არც ის ვიქნებით ჩვენ, რაც დღესა ვართ. დღევანდელი ცხოვრებაც მოგვეშლება, ჩვენი სამეფოც განსქებება ნაწილ-ნაწილად, ჩვენც დავკნინდებით და მოვიშლებით ყოვლისფრით, ჩვენი ქვეყანა სხვისი კერძი ვახდება, ქართველნი სხვის ხელში შთავარდებიან და ბოლოს მოესპობათ ყოველისფრით, სჯული, ენა, მწიგნობრობა და მამა-პაპთა წყევლუებანი... გიორგი მეფეც თანხმა იყო ქაბუასი და აქებდა იმის აზრს. გიორგის უთქვამს ვითომც:

ერთობაზე უკეთესი და მშვენიერი რა უნდა იყოს. ძმთა ერთობას მოციქულნიც ქადაგებენ. დავით წინასწარმეტყველი იტყვის: სამეფო ისრაელთა მაშინ დაეცა, როდესაც იგი განსქდა ორდა, საბერძნეთი დაეცა მაშინ, როცა გაიყო ორ-სამს სამეფოდ.

ქაბუა კვალად ავედრებს მეფეს ერთობის პასუხის მიცემას, დესპანნი ამხნევებდნენ ერთობის მსურველთ და მზრუნველთ და აქარებდნენ პასუხს, მაგრამ მეფე ერეკლე ქმუნვარებაში ჩაყარდა, ერთობა ჯერ არ მომხდარა და ერთობისთვის განხეთქილება ჩამოვარდაო, ამიტომ ვერ ვიტყვირთებ იმერთ ტახტს, ვერ შევიერთებ იმერთ, რომ მის მეოხებით უარესი მტრობა არ ჩამოვარდესო. მოკლეთ, უარ-ჰყო მეფე ერეკლემ ერთობის თხოვნა და დესპანნი გულ-დაწყვეტილი და მწუხარენი გაისტუმრა იმერთს. დაბარა ამათ, რომ მე მალე ჯარს გამოვგზავნი და იმერტში სოლომონ მე-II-ეს გავამეფებო. მალე ქართლიდამ ჯარი გავგზავნეს იმერეთში, ჯარს თან გაჰყვა იოანე მუხრან-შატონი, ზაქარია ანდრონიკაშვილი, მეფის ძე იუ-



ლონ და მრავალი სხვანი. დავით ბატონიშვილი ჩამოადგეს ტახტიდამ და სოლომონ მე-II-რე გამეფეს იმერეთის ტახტზედ. ამ ცვლილების შემდეგ დავითი დაპატიმრებულ იქმნა. შემდეგ რუსებსაც მოეწრო და გარდაიცვალა 1820 წლებში.

ასე და ამ გვარათ დაბოლოვდა ერის დიდებული განძრახვა და წადილი. ჰბაჟა ორბელიანის სიტყვა დარჩა სიტყვათ ქართველთა ერთობისა და ამან ეს სიტყვა სხვებს დაუტოვა ანდერძად და შვილას-შვილთადამი გარდასაცემად, რომ ვიღრე ქართველებს ერთობა არ ექმნებთ, მინამდის მათი მეფობა ვერ იხარებსო. მეფის ერეკლესთვის ვიტყვით ჩვენ, რომ მოხუცი მეფე ვერ მოიქცა კანონიერათ, ვერ აღასრულა ერის თხოვნა ერთობისთვის, ვერ მოიქცა დროის შესაფერათ, ასპინძს და სხვაგან ათი-ათასობით აწყვეტდა ქართველთ და იმერეთის შეერთებაში კი ვერ გამოიჩინა მხეობა და ნიჭი, მან ვერ იგრძნო ერთობის მნიშვნელობა, ერთობის ძალა, არ შეისმინა დიდებული რჩევა მრავალთა და ნამეტურ ჰბაჟასი, აპყვა დედოფალსა და მხოლოდ ნათესავეურის პატივისცემის გამო უარ-პყო თხოვნა იმერთა ერისა.

(„მოგზაური“)

**ახლად ნახაენი იოანე ზეტრიწის თხზულება.**

ორის წლის წინეთ გასეთს „ივერიაში“ გამოცხადებული იყო, რომ იმერეთში ერთს ფეხსში აღმოჩენილა ერთი ძველი მეტად ძვირფასი ხელნაწერი თხზულება „კავშირად“ წოდებული, რომელიც შეიცავს ნოზღატონიანის ფილოსოფოსის დიოდონის თხზულებას ქართველ ფილოსოფოსის იოანე ზეტრიწის მიერ თარგმნილს და მისკანვე განმარტებულს წიგნი სულ 211 თავა. თითოეულს თავს დიოდონის თხზულებისს ზედ მოსდევს ფრთად ურცელი განმარტება იოანე ზეტრიწისა. თვით ხელნაწერი ხალკოგრაფიული ნიშნებით ეკუთვნის XII—XIII საუკუნეს.

რომ გავიგოთ, თუ რამდენად ძვირფასია ეს ხელნაწერი, უნდა მივიღოთ სსხეში ის გარემოება, რომ ქართველ მეფეების ვანტანგ VI-სა და ერეკლე II-ის

დროს ცნობილმა ქართველმა მწერალმა იოანე ორბელიანმა ვერ იპოვა ძველი წიგნი იოანე ზეტრიწისა და სომხურ ენადამ გადათარგმნა ეს წიგნი, თუმცა სომხურ ენაზე ძველად ქართულ ენადამ გადათარგმნათ, როგორც თვითონ მთარგმნელნი ამოწმებენ და როგორც სომხური წარწერაც ერთის ქართულის ხელნაწერის ცხადად მოკვითხრობს.

იოანე ორბელიანის თარგნილი „კავშირი“ და სხვად აღმოჩენილ ხელნაწერის დიდად გაიჩნევან ერთი შეორასკან. თვით ტექსტი დიოდონისა ორბელიანის ხელნაწერში სუფურადღებო განსხვავებას არ წარმოგვიდგენს, მაგრამ განმარტება ტექსტისა სხვად ხელნაწერში დიდად გაიჩნევა სომხურისკან. ცხადია, რომ იოანე ზეტრიწის განმარტება ქართულიდამ სომხურად რომ გადათარგმნათ, სუფურადღებოდ შეუცვლიათ, შეუშოკლებათ და ზოგან ძირიანად გადაუმხინჯებათ სომეხთა მწერლებს. ეგულა ამის უნდაცხად გამოცხადებულს და სწორთა სრულის შედარებით გამოცემა სხვად აღმოჩენილის ძველის ხელნაწერისა.

ყოფილად-სამდებელი აღექვსანდრე ეს ორი წიგნი წადა სცდილობდა მისხეებული ხელნაწერი ეშოვან, მაგრამ მხოლოდ ამ ორიადე კვირის წინეთ მოახერხა იგი და განზრახვა ჩქვს თვისის საფასით გამოცეტეს და თვით ხელნაწერი შესწიროს წერა-კითხვის საზოგადოების წიგნი-საცავს დემურთმა ქნმს, რომ ქართულ მწერლობის მოტრფიალე მსცნოვან მღვდელ-მთავარს თვისი სურვილა აღესრულებინოს—დადაც კარე იქნებოდა, რომ ყოფილად-სამდებელი აღექვსანდრე ამ ხელნაწერსაც შეიძენდეს, რომელსაც ქრთია სომეხ მწერალთა წარწერა, მომთხრობელი იმასი, რომ სომეხები წიგნი „კავშირი“ ქართულ ენიდან უთარგმნათ სომხურად, რაიც გამართლებდა იოანე ორბელიანის ცნობას და ჩვენს ხელნაწერ წიგნების სჯაროში ძვირფასი განცხად დაიდებოდა.

„ივერია“





### კიდევ საუბარო წიგნების შესახებ.

(წერილი რედაქტორთან)

მოწყალო შედმოიფევე, ბატონო რედაქტორო! მას წინად, როგორც თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ცხუთის „ცნობის ფურცელში“ დაუბეჭდე მე საუურადღებო მსჯელობა ანატოლი ფრანსისას საუმაწვილო წიგნების შესახებ; და ეს სკანია იმდენად საუურადღებოდ, იმდენად ჩვენთვის საჭირო სკანად მიმანია, რომ განსრული მაქვს მრავალჯერ დაუბრუნდე ამ ფრიად საჭირო სკანს, მისამდის ე, თუ თქვენა ნებაც ექნება, ქვემოთ მოყვანილი კითხვებით მივმართავ ჩვენს ზედაკოტებს და დასკვლავებულ მშობლებს, რომ მათ, როგორც დასკვლავებულთ ბავშვებთან, თავიანთი აზრი და შეხედულობა გაგვიზარონ ამ მეტად საინტერესო სკანის შესახებ. აი ეს კითხვებია: 1) ბავშვებს მივცეთ თუ არა წასკითხვად განკუბ მათთვის დაწერილი წიგნებია? 2) რა შინაარსის წიგნს უფრო ეღტვის ბავშვი და რა მიზეზია ბავშვის რომელიამე წიგნით გატაცება? რა შთაბეჭდილებას ახდენს თქვენ ბავშვებსად ნაწარმოები ჩვენი ნაწიერი და კონიერი ზოტებია? 3) ჩვენს რომელს მიწრას მოუხდენია უფრო დიდი შთაბეჭდილება ბავშვებად? 4) უცნო მიწრებთა შორის რომელი მიწრადი უფრო მოსწონთ თქვენს ბავშვებს? 5) ვისი ნაწარმოები უფრო მოსწონთ ბავშვებს ქალების, თუ ვაჭების და რისთვის? 6) უფრათ თუ არა თქვენს ბავშვებს სამდენიერო წიგნებია კითხვად და ამ ნაწილში რას უფრო აქცევენ უურადღებს? 7) რა კავლებას აქვს თქვენს ბავშვებსად ზღაპრების და რა შინაარსის ზღაპარი უფრო მოსწონთ? 8) სჯერათ თუ არა ბავშვებს ეგვად ის, რაც ამ ზღაპრებშია წარმოდგენილი და ნაწიენი? 9) რა შთაბეჭდილებას ახდენს ბავშვებსად ზღაპრის მოქმედი ცხოველებია: მელა, დათვი, მკელი, კურდღელი, თაკვი, ტურა და სს.? რომელს ამთავის უფრო თანუგრძობენ და ნომელობენ მის გამარჯვებას? 10) რა აზრისანია ჩართ იმ ზღაპრების შესახებ, სადაც მოქმედ ბიურება ცხოველანია იარას: ცხრა-თავიანი მდევი, ალი (ჭინკა), ეშმაკი, ქაჯი და სხვადასხვა წარმოდგენილობითი არსებანი? ესენი აშინებენ თუ არა ბავშვებს და თუ აშინებენ, რაში გათიასტება ეს შიში? უმზღაპრთ ბავშვი წინად არ ითა დაშინებული? 11) სადნის რომელ ნაწარმოებს უფრო აქცევს ბავშვი უურადღებს? რომლის კაცინება უფრო ახდისეს და


წარმოდგენილობითი ნიჭის განვითარებაში შეგვლის? 12) ისტორიული მოთხრობებია, ამბავებია, ლეგენდებია და სს. იზიდავენ ბავშვის უურადღებს თუ არა? ისტორიული რა უფრო მოსწონთ ბავშვებს? და სს. და სს.

აი ეს კითხვებია, რომლის განმარტებას და ზსუსენ დიდი მზომუნლობა ექნება ჩვენი საუმაწვილო მიწრებობის ფუნის წარსადგემლად და ჩვენი მომავალი თაობად დასასხეულად იმ ჭკობიდან, რომელშიაც დღეს იკია იმეოფება ჩვენი დაუდგერობით. ზსუსენი ამ კითხვებზედ რომელ ქართულ ცხუთშიაც გენებდეთ, იქ გამოვსახეთ, არა მგონია, რომ რომელიამე რედაქციამ ამასედ ურთს შექვს.

ალ. ნათქვი

P. S. უმორჩილესად ვსთხოვ სხვა რედაქციებსაც ამ მოწოდებას თავიანთ ზატრეცემულ ცხუთში ადგილად დაუთმონ\*).

ალ. ნ—ძვი



### ბეთანიის მონასტრის დათვლივირება ეპისკოპრიონის მიერ.

შაბათს, 4 მაისს, წაბრანდა ეოვლად-სამდველო ეპისკოპოსი კარიონი დასათვლივირებლად ბეთანიის მონასტრის, რომელიც მთ მუყოფის მფარველობის ქვეშ იმეოფება. ეტლით მიბრანდა სვდკურ სამადლომდის და შემდეგ წვიმას და ავდარში ფეხით გაიარა მონასტრამდის მთელი ცხა, თითქმის ზოი ვერსი, რადგან ეტლით მისელა მონასტრამდე უცხოობის გამო შეუძლებლად მონასტრში დაჭვად კრებული ჭვრით და აახშით და ლირს არა—ის კალობით, კვრას, შემდეგ წირვის, ეპისკოპოსმა გარდაისდა ზანაშიდი თანდასწრებით მონასტრის კრებულის, განსვენებულ დავით სალდის ძის პარათაშიდის სულის მისასხეულად, რომელმაც მონასტერი უხრუხველ-ჭვი მივენიერის მამულის შეწირვით, განსვენებული მუდამ დახმარებას და შემწეობას უწევდა მდველ-მონაზონის სპირიტის ეკკლესიის განახლების საქმეში. შემდეგ ეოვლად-სამდველომ დასათვლიერად დიდი განახლებული ეკკლესია და ავრთვე კრებულს

\*) დიდის სიამოვნებით ვასრულვებთ. რედ.



მეორე განხილული ვერსია და ხელის ბაღი. მისმა მეუ-  
ფემ უფრო მეტი მოიწონა, მაგალითად უბრალოდ მღვდელ-  
მონაზონის სწავლების ასეთი ერთგული შრომისათვის  
და დაჯილდოვების შეწყობის და დახმარებას.

ორშაბათს კინოკამერის წამოტანის ფეხით ვერსია  
სეზონისკენ, გამართა ბარონ ნიკოლაის ბაღები და იქი-  
დან ცნებით წამოტარდა ტოვებისა.

ის დიდი მონასტერი, სადაც დაცულია ჩრდილო-  
ეთის კედლებზედ მშენებელი სურათი წმიდა თამარ დე-  
დოფლის, კარგად არის გადახურული შავი თუნუქით,  
გუმბათის-ე თეთრი თუნუქი ჭებრავს. წმიდა თამარ დე-  
დოფლის სურათის კარდა, აქვეა სურათი დავით სოს-  
ლანისა და ლაშა გიორგისა.

ბეთანიის მონასტერი, თუმცა წმ. თამარ დედოფ-  
ლის მიერ აღმშენებულად არის ცნობილი, მაგრამ სიმხრე-  
თის კედლებზედ დარჩენილი მსატკრობა სპილენძის გვე-  
რის უფრო ადრე დროს მიავსებდა მისი აღმშენებ-  
ის მსატკრობა წინადადების უნებამაჟაკის, რომელიც  
ეკლესიის მღვდელს უძღვნიან ღვთის-მშობელს. მონას-  
ტერი მთლად უთვლიდა დასტული, მაგრამ, სამწუხაროდ,  
მხოლოდ ზოგან შეჩენილია მსატკრობა. ამ მონასტრის  
კედლებზედ არის გადაღებული ცნობილი მსატკრობა თ. გა-  
განისისაგან ის თამარის სურათი, რომელიც ეხლა სალ-  
ხშია გაგრძელებული. განხილვის დროს დიდად მონას-  
ტრის სამწირველში უბოვანათ ვერცხლის ბარძამი,  
რომელიც უთვლიდა შეწირული ბეთანიის ღვთის-მშობ-  
ლის მონასტრისთვის ცოცხალმა ბარათაშვილისაგან 1677  
წელს. წირვა-ლოცვა სრულდება ზატარა ეკლესიაში,  
რომელიც ამ ოთხის წლას წინაა დაკურთხეს.

მონასტრის მდებარეობა მშენებელია, მხოლოდ მი-  
სჯელია გზა ჯერ არ არის გაკეთებული. მონასტრის  
განხილვის დიდი დახმარება გაუწია ნიუთონის თ. კონ-  
სტანტინე ივანეს ქმე მუხრან-ბარძამს. ბევრი შრომა  
მიუძღვის ამ საქმეში არ. ქუთათადაცქვანს.

სასურველია, რომ დიდის მონასტრის კურთხევის  
დღისთვის დაბრუნებულ იქნას ძვირფასი სახეობა ამ მო-  
ნასტრისა—ბეთანიის ღვთის-მშობლის სტრი, რომელიც  
დროებით არის გადასვენებული თავ. ბარათაშვილების  
მიერ ქვეშევითი წმ. გიორგის ეკლესიაში.

(„ივერია“)

### შემოდგომის თაფლობა.

დასასრული \*).

ფურცლის ცნობებს გახაფხულის თაფლობის გათავები-  
დგან, შემოდგომის თაფლობის დაწყებამდე და თავი  
შემოდგომის თაფლობის დროს.

გახაფხულის თაფლობის შემდეგ, დაახლოებით  
ივლისის დამდეგიდან (ჩვენ არ გვიქვს აქ სახეში  
მალაი აღვიღებთ, სადაც გვიანა თაფლობა და  
თითქმის მთელ ზაფხულს გრძელდება) თაფლობა  
კლებულობს და ბოლოს სრულიად ისპობა, განსა-  
კუთრებით გვალვიან წლებში. თაფლობის კლებას  
აპყვება დელოც და აკლებს მრავლობას, ბოლოს  
სულაც შესწყვეტს. ყოველ დღიური კლება ფურ-  
ცისა (მუშაობის დროს ანუ სიბერით სიკვდილი),  
შემცირება და შეწყვეტა მოშენებისა არის მისი მი-  
ზეზი, რომ ზაფხულის გასულს ფურცარი სკაში  
ძალიან ცოტა რჩება, ასე რომ ორ-სამ ფიქს ძლივს  
ფარავს. მთელი წლის განმავლობაში ეს დროა მარ-  
ტო, როდესაც შედარებით სხვა დროსთან, ცოტა  
ფურცარი. ამისთანა ცუდ დროს, ჩვენდა სამწუხარ-  
ოდ, თან მოაპყვება ერთი უბედურებაც შუა ივ-  
ლისში, ბარტყობის შემდეგ, გვეწვევა ფურცრის  
გაუმაძღარი მეტერი—მწიფობელი (მელოფია, კირო-  
ნი). ის დაფრინავს გუნდ-გუნდათ, ცუდ ამინდში  
ტრიალებს საფურცრესთან, კარგ ამინდში კი სულ  
ერთია, სადაც უნდა იყოს, ფურცარს ყველგან იზო-  
ვის მინდვრად, იჭერს ფრენაში და შეუბრალოდ  
ანადგურებს; თითო ფრინველს სჭირდება დღეში  
სამასზე მეტი. ხშირად ამ ფრინველისაგან მთელი  
საფურცრე ისპობა. დამწვარზე დღეობა დაესხაო—  
რომ იტყვიან, ეს ხდება სწორედ—უბრალო ხალხი  
ამ ფრინველს ისეთ პატივს სცემს, როგორც მერც-  
ხალს და მისი მოკვლა დიდ ცოდვად მიიჩნია. მწი-  
ფობელი მიდის ჩვენს ქვეყნიდან 23—25 სექტემბ.

ავგუსტოს თვეში ჩნდება შესაფერი ყვავილები,  
სხვათა შორის ქონდარიც და პირველი წვიმის შემ-  
დეგ იწყება ახალი მანანის ზიდვა. ჩაისხმის თუ არა  
ფიქსში ახალი თაფლი, განდგება თან პირველი კვერ-

\*] იხ. „მეფეში“ № 5, 1902 წ.





ცხები. დროის წვიმები ხელს უწყობენ ბარტუ-  
ბას და შუა სექცემბრამდის ფიქტების უმეტესი ნაწი-  
ლი მოკავებული იქნება ნაშენობით. ამ დროიდან  
ფუტკარი თან-და-თან ხელს აკლებს შენობას და  
უმთავრესს ყურადღებას აქცევს თავლის შივნას.  
ფიქტები სიჩქარით ივსება თაფლით და იბეჭდება.  
შემდეგ თაფლიან ფიქტებს ასქელებენ, უფრო ხში-  
რად ძირიდან და ნაპირებიდან, ისე რომ ფიქვა  
ხდება ჯამივით, რომლის ძრო ჯერ-ჯერობით ისევე  
საბარტყეთა\*).

ფუტკრის გამოსადება შემოდგომის თაფლობისათვის.

თუ მეფუტკრის გონივრული ხელის წყობა  
ფუტკრისა და მისი გამოსადება საჭიროა გაზაფხუ-  
ლის თაფლობისათვის, ამ ნაირი შემოსადება ფუტ-  
კრისა ნამეტურ საჭირო უნდა იქნეს შემოდგომის  
თაფლობისათვის. ეს საკმაოდ ცხადია მითი, რომ  
გაზაფხულზე ფუტკრები ბუნებრივად მრავლდებიან  
და ღონიერდებიან. იგრძნობენ თუ არა გაზაფხულის  
მოახლოვებას, თითქმის შუა ზამთრიდან, თოვლ  
ქვეშ იწყებენ ბარტყობას და, თუ ცუდმა ამინდმა  
არ შეუშალა ხელი, უცბათ ავსებენ ბუფებს ახალი  
ფუტკრით. მაგრამ ესევე არ ხდება ზაფხულში. გა-  
ზაფხულის თაფლობის შემდეგ, ფუტკარი თითქმის  
აღარც კი ფიქრობს მეორე თაფლობისათვის და  
ხელმეორედ გამრავლებას მხოლოდ მაშინ უმატებს,  
როდესაც ბლომად დანახავს თაფლიან ყვავილებს,  
თუმცა ისე გულით და ხალისით არც მაშინ ეცი-  
ლებს. საზაფხულო გონივრული დახმარება ამ დროს  
უფრო საადვილო და მოსახერხებელია, ვინემ გა-  
ზაფხულზე, მეფუტკრისათვის ზაფხულში სრულე-  
ბით არაა საჭირო იზრუნოს სკვების დათბუნებისათ-  
ვის, ეცადოს მამალი ფუტკრის უსარგებლო მოშე-  
ნებას და ხელი შეუშალოს ფუტკრის ყრას, რაც  
უმთავრესი თაფლობის დროს ძალიან მანებელი  
მოვლენაა.

მეფუტკრემ უნდა იცოდეს თავისი ადგილის  
უმთავრესი თაფლობის დრო და ფუტკარს უვლიდეს  
მის შესაფერად, რომ სრულიად მზად ჰყავდეს ამ

\*) ამის მიხედვით, ამისთანა ადგილებში ფუტკრის ყოლა  
სჯობიან იმისთანა სკვებში, რომელთაც თაფლის განყოფილება  
ბულის გვერდით აქვს და არა მაღლა, სადაც ფუტკრები ამ  
დროს უფრო ხალისით მუშაობენ.

დროისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ტყუილად  
ნუ ფიქრობს, რომ მეფუტკრეობისაგან რამე სარ-  
გებლობა ნახოს. ამ მიზნისათვის ის კი არაა მარტო  
საჭირო, რომ რაც შეიძლება ბევრი სკვები იდგას  
საფუტკრეზე, არამედ ისაა უფრო საჭირო და სასარ-  
გებლო, რომ რაც შეიძლება სკაში ბევრი ფუტკარი  
იქნეს. ის სკა, რომელშიდაც ფუტკარი ერთი-ორად  
მეტია, შეკრებს თაფლს არა მარტო ერთი-ორად  
მეტს, არამედ ერთი-ათად და ერთი-თორმეტად მეტს.  
ბევრად უფრო სასარგებლოა ორი სკის მაგივრად  
ვიყოლით ერთი სკა, რომელშიდაც იმდენი ფუტ-  
კარი იქნება, რაც იმ ორივეში ერთად. საზოგადოდ  
მეფუტკრემ უნდა იცოდეს, რომ 1) უმთავრესი  
თაფლობის დროს მხოლოდ ღონიერი სკვები იძლე-  
ვიან სარგებლობას, მაშინ, როდესაც სუსტები ძლიეს  
ავროვებენ ზამთრის საკვებს და ხშირად ვერც იმას; 2)  
ორ ოჯახად გაყოფილი სკა იმუშავებს ბევრად  
იმაზე ნაკლებს, რასაც იმუშავებდნენ ერთად; 3)  
ახალი ფუტკრის გამოტეხა თხოულობს მრავალ  
თაფლს და შრომას ფუტკრებისაგან, და ამიტომ  
დასწრება ბარტყობისა უმთავრესს თაფლობაზე, ანუ  
დაგვიანება მეფუტკრისათვის პირდაპირი ზარალია,  
რომლის აღდგენა შეუძლებელია; 4) მკოდნე მე-  
ფუტკრეს ადვილად შეუძლია თავის ნებაზე აბარ-  
ტყოს ფუტკარი, როდესაც საჭიროა და შეაწყვეტი-  
ნოს ბარტყობა, როდესაც არაა საჭირო.

მოსადონიერებელი ჭმუკა.

დღეო კვერცხს სდებს იმოღენად, რამდენადაც  
მას კვებავენ ფუტკრები და ცარიელ ბუფეებს უმზა-  
დებენ; მუშა ფუტკრებიც თავის მხრით ხელმძღვე-  
ნელობენ ამინდით, შენახაობით თაფლის როდენო-  
ბით და ახალი თაფლის ნაშოვრობით. მამ მეფუტ-  
კრეს შეუძლია აძლიოს თვითონ თაფლი ფუტკრებს  
ნაშოვრობის საზაფხუროდ და რიგიანად აკვებინოს  
მთ დელო, აგრეთვე დედოსაც აძლიოს საჭირო  
ცარიელი ფიქვა კვერცხის ჩასადებად და ამნაირად  
აბარტყოს, როგორც თვითონ სურს.

ჭმუკა მხოლოდ მაშინ მოიტანს სარგებლობას,  
როდესაც ფუტკრებს თავის თაფლიც ბლომად აქვსთ  
ფიქებში. ამიტომ თუ ფუტკარი თაფლით ღარიბია,  
სანამ გასაღონიერებელ ჭმუკას დაუწყებდეთ, უთუ-  
ოდ წინდაწინ ზედ-მეტად უნდა მისცეთ თაფლი





(მაგ. ჩაუდგამთ თავლიან ფიქებს, ან ერთბაშად აკმევთ უწყლო თავლს და, თუ თავლი არ არის, აკმევთ დულარეში სქლად გახსნილ შაქარს).

შენიშნულია, რომ სალი სკა კარგი მოვლით სრლოს ლონეში ჩადგება ექვი-შვიდი კვირის განმავლობაში, ამიტომ მოსალოინერებელი ქმევა უნდა იქნეს დაწყებული უმთავრესი თავლობის დაწყებამდე 40—45 დღის წინათ. კვერცხის ღება იწყება რამოდენიმე კვერცხით დღეში, მატულობს თანდათან ბარტყის მომვლელი ფუტკრის მოშენების დაგვარად და აღის 2000 და 3000-დე დღეში და ხანდის-ხან 4000-დეც (აქედგან ცხადად სჩანს, თუ რა მალე მოშენდება სკაში ფუტკარი რიგიანი ხელის წყობით). ახალი ფუტკარი შეუდგება გარეთ მუშაობას არა უადრეს 35 დღისა მის შემდეგ, რაც იმის გამოსატეხი კვერცხი დაიღო. საკმაოდ ღონიერ სკაში უნდა იყოს 50,000 მუშა ფუტკარი (გარეთ მუშა და ბარტყის მომვლელი), კარგ სკებში კი ფუტკრის რიცხვი აღის 70,000—80,000 და თითქმის 100,000-დეც.

თუ ერთხელეე დაიწყე ქმევა, უნდა ბოლომდე გაჰყე და იმას აღევნებდე თვალყურს, რომ ფუტკრებს საქმელი აღარ შემოაკლდეს, რადგან საქმლის ნაკულღევანება ბარტყობის დროს ფუტკრებისათვის ძალიან საზარალია. თვალყურის დევნება ნამეტურ საქირსა უმადლეს თავლობის მოახლოევისას. თვითეულ ფუტკარზე, სანამ ის კარგად დასრულდებოდეს რომ ვინაგარიშოთ იმდენი თავლი, ყვავილის ექვილი და წყალი, რამდენიც ჩატევა ფიქის თითო თვალში, ანუ უკეთ რომ გისქვათ ერთი-ოთხად მეტი წონა ფუტკრისა (ერთი ფუტკრის გაზრდას სქირდება ოთხი მისი წონა მასალა), მაშინ 40,000 ფუტკრის გაზრდას დასქირდება ფუთამდე საქმელი, რომლის უმეტეს ნაწილს თავლი შეადგენს (10,000 ფუტკარი იწონის 2 $\frac{1}{2}$  გირვ.; 10,000 ფიქის თვალი, თავლით გავსილი, იწონის 10 გირ. თავლს).

ქმევა, დაახლოეებით, იწყება მეოთხედი გირვანქიდგან თითო ძირზე, და პირველ ხანებში ეძლევა ორ-სამ დღეში ერთჯერ; შემდეგში კი კერძოც მატულობს და უფრო ხშირადაც ეძლევა თითქმის ყოველ დღე დანიშნულ დროზე. ეს ყველაზე უფრო საუჯობებისა. ხანდისხან კი არ ხერხდება ყოველ დანიშნულ დროზე საქონელივით ფუტკრის ქმევა—

მეფუტკრეს ან დრო არ ექნება, ან საფუტკრე ექნება შორს და ან სხვა რაიმე მიზეზი შეუღლის ხელს, მაგრამ იმას კი მაინც უნდა ეცადოს, რომ საქმელი გამოუღეველი იქნეს სკაში. მეფუტკრეს გული არ დაუჯერებს და ხშირად დაითვლიერებს სკებს რომ გავიგოს, თუ ფუტკარი როგორ მრავლობს. ამნიერი დათვლიერება ზახუხლის დღეებში არცაა მაგნებელი, მხოლოდ რაკი უმთავრესი თავლობა დაიწყება, მეტე კი, რაც შეიძლება, უნდა ერთდოთ ფუტკრის დათვლიერებას.

საქმელი უნდა იქნეს საკმაოდ თხელი: ერთი ნაწილი შაქარი, ორი ანუ სამი ნაწილი წყალი და ცოტადენი მარილი. შეიძლება აგრეთეე აქამოთ წყლით გათხელბული თავლი (თავლის ერთი ნაწილი წყლის ორ ნაწილზე). შაქარი (რაფენადი) უნდა წყალში გადმოადუღოთ, თავლისათვის კი ცხელი წყალიც კმარა გასაქმელად. ფუტკრებს უნდა მისცეთ, როდესაც საკმაოდ შენეღდება ანუ ცივად.

ქურტველი საქმელისათვის იხმარება ყოველნაირი, ნამეტურ თუ გარეთ აკმევთ. მხოლოდ უნდა ეცადოთ, რომ ფუტკრები არ ჩიხრჩონ შიგ. ფუტკარს სისუნთქევი ტანის ნაოქებში აქეს და თუ ტანი დაუსველდა, ადვილად იხრჩობა. ამიტომ ფეხის მოსაკიდებლად ქურტულში ბალახის ღეროები უნდა ჩაუყაროთ და რაც შეიძლება ბევრი, რადგან ბევრმა ფუტკარმა იციან ერთად დასევა საქმელზე და ერთი მეორეს ყრთან საქმელში და ახრჩობენ. საქმელი შეგიძლიათ გარეთ დაუღათ ფუტკრებს, საფუტკრეზე, მაგრამ თუ სხვისი საფუტკრეა ახლოს, მაშინ იძლებული გახდებით შიგნიე შეუღათ. ჩვენ ვაკმევთ ფუტკარს სლამობით თიხის ჯამით, რომელსაც ესდგამთ თვითეულ სკაში სახურავ ქვეშ, ჩარჩოების თავზე, სადაც ფუტკრის ამოსასველად ერთ აღიღს ჩარჩოს გავწევთ. ზაფხულში ჩარჩოს გავწევა და სხვა ქურტუტანების გაცეთება ფუტკარს არ ავნებს, პირიქით სასარგებლოც არის ჰაერის გავწენლისათვის.

რაც უფრო მატულობს ფუტკარი სკაში, ისე უფრო უნდა უღიდდებოდეს მას საბარტყე ბუღე. მაგრამ მარტო ფუტკრის მრავლება არ კმარა, მასთან ერთად სათაფლე ფიქებიც უნდა კეთდებოდეს, რომ უმთავრესი თავლობის დროს თავლის შესანახი ქურტველი ბლომად იქნეს და ფუტკრები მუშაობას











# ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* ხმები ისმის, რომ მომავალ ენკენისთვიდან ტფილისში დაარსებული იქნება საქართველოს საეპარქიო სკოლების მთავარი საოლქო საბჭო, რომელსაც დაექვემდებარებიან საეპარქიო სკოლების ყველა საბჭონი. საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულ იქნება ყოვლად-სამღვდელო დიმიტრი, ეპისკ. ალავერდისა.

\* \* ჩვენ გავიგეთ, რომ ქართლ-კახეთის საეპარქიო სასკოლო საბჭოს და საეკკლესიო სიძველეთ-საცავის კომიტეტის თავმჯდომარეთ ინიშნება ყოვლად-სამღვდელო დიმიტრი, ეპისკ. ალავერდისა.

\* \* გორის სასულიერო სასწავლებლის ზედმხედველის თანაშემწე ი. ვ. ბუტირსკი გადაყვანილ იქნა ახალ-სენაკის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად, არქიმანდრიტის გიორგის (ალადოვის) ნაცვლად, ხოლო გორში ზედამხედველის თანაშემწედ დანიშნულ იქნა ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლათა მეორე ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი პიროსი (ოქროპირიძე). აზრად აქვთ ამის შემდეგ საზოგადოებამ თავის სკოლათათვის მხოლოდ ერთი ინსპექტორი დასტავოს ბ-ნი ვეტიხი მაინიანიშვილი.

\* \* პეტერბურგის გაზეთები იტყობინებიან, რომ მთავრობას გადაუწყვეტა ისეთივე შეღავათი მიანიჭოს მართლ-მადიდებელ სამღვდელო პირებს რკინის გზებზე მოგზაურობის დროს, როგორც სამხედრო სამსახურის პირთ აქვს, ესე იგი, მესამე კლასის ბილეთით მეორეში შეედგომთ მოგზაურობა.

\* \* ბერლინის უნივერსიტეტის რექტორს მოუწერია ტფილისში წერილი ყოვლად-სამღვდელო კირიონისთვის, რომლის თაოსნობითაც იბეჭდება ამ ჟამად სამეცნიერო აღწერა საეკკლესიო მუზეუმის ხელ-ნაწერებისა, მალე იქნება თუ არა დაბეჭდილი კატალოგი ზემოხსენებულ მუზეის ხელ-ნაწერებისა და აღწერანივთებისაო. კატალოგი, როგორც აცხადებდენ, უკვე შედგენილია და იბეჭდება ორს სტამბაში, ნახევარი, 401 ნომრამდე, ერთს სტამბაში და ამ ნომრიდან დანარჩენი—მეორეში. ბეჭდვას ორსავე სტამბაში, რამდენადაც კი შესაძლოა, აჩქარებენ და იმედი აქვთ, რომ ამ ზაფხულს ორივე წიგნი მზად იქნება.

\* \* რედაქციამ მიიღო დაბეჭდილი «წესდება უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოებისა». საზოგადოებას შემდეგი დახმარება შეუძლიან აღმოუჩინოს ხელნეშულ სტუდენტებს: ა) ლექციათა მოსასმენი ფული შეიტანოს უმაღლეს სასწავლებლებში, ბ) ერთ-დროებითად ან და მუდმივ პირდაპირი დახმარება აღმოუჩინოს სტუდენტებს და გ) ხელი შეუწყოს კავკასიაში საშუალო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულ უნივერსიტეტებში ანუ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის დროს.

საზოგადოება შესდგება ნამდვილ და საპატრიო წევრთაგან, რომელთა რიცხვი წესდებით არ არის განსაზღვრული. წევრობა შეუძლიან ყოველ მსურველს ორთავე სქესისას, ყოველ წოდებისა, შედობისა და სარწმუნოებისას.

ნამდვილ წევრს ჰხდება წლიურ საწევრო გადასახადად—სამი მანეთი. საპატრიო წევრებად კი აირჩევენ იმას, ვინც დიდ ფულს, ანუ დიდს რაიმე სამსახურს გაუწევს საზოგადოებას.

\* \* რედაქციამ მიიღო № 4 ყურნალის „მოგზაურისა“ შემდგენის შინაარსით: 1, პირველ-ყოფილი აღამიანის ცოცხნობიერ მღვთმარცობა, ბ. კ-ისა; 2, მთიულთ კოვრებდგან, ე. გუგუშვილისა; 3, კლარჯეთის აღწერა, ზ. კ—სა; 4, ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობა, აღ. ტატუნაშვილისა; 5, საქართველოს საეკკლესიო ისტორია, ილ. ფერაძისა.

\* \* მივიღეთ „მოგზაურის“ რედაქტორის ი. პ. როსტომაშვილის გამოცემა «გამოსადგენი ცნობანი», წიგნი მეთხუთხე, რომელშიაც შემდეგი წერილებია მოთავსებული პედაგოგიდგან: 1, ახალი წესი წერა კითხვის სწავლებისა ოჯახებასა და სკოლებში. 2, ადვილად შესწავლა გამრავლებების ტაბულასი. 3, რეფორმატორნი სწავლა-აღზრდისა, ა. ტატუნაშვილისა. მეურნეობა-მრეწველობადგან: 4, რამდენ ნაირად შეიძლება გამოვიყენოთ რძე ჩვენს ოჯახებში, ა. დარჯეჯანაშვილისა. 5, გაზაფხულის ყინვები, გ. ლეხუერლისა. ჰიგიენა-მეურნალობა: 6, საშინაო სამკურნალო გიმნასტიკა.

\* \* რუსულ ყურნალის „Журнал для всех“ № 4-ში დაბეჭდილია ბ-ნის ა. ხახანაშვილის ისტორიული წერილი „ბრძოლა საქართველოს ტახტისათვის“.



\* \* რედაქციამ მიიღო ჟურნალის «ჯეჯილის» მე 4 ნომერი შემდეგის შინაარსით: 1, აღდგომა, ლექსი—პელიაშვილისა, 2, ქვევრი, იგავი—ალ. მირიანაშვილისა, 3, მოთამაშე მიმუნე, მოთხრობა—თ. რაზიკაშვილისა, 4, ხობზები და კაცებში, იგავი ალ. მირიანაშვილისა, 5, მიწის მუშა და მისი შვილები, ფრანგული იგავი—კლდისა, 6, ლოპი, ლუნჯევიჩისა, თარგმანი—კ. ფრონისპირელისა, 7, ცეკვი შალვა, ლექსი დ. თომაშვილისა, 8, მელიას თავდასავალი, ზღაპარი (გამგლეზბა)—ალ. ნათაძისა, 9, ქართველთა მეფე გლეხის ქობში სტუმრად, —ისტორიული ამბავი—იაკობ გოგებაშვილისა, 10, ლედი ჯენ, მოთხრობა, დასასრული—ელ. წერეთლისა, 11, კალედონიაში ნადირობა (ოვიდიოსიდან)—ა. ყუმისთაველისა, 12, ჭიაკოკონობა ლამეს, მოთხრობა—ეკ. გამაშვილისა, 13, საშინელი სასჯელი მოღალატისა, ისტორიული ამბავი იაკობ გოგებაშვილისა, 14, წვრილმანი: საჩუქრის მისაღები კითხვა, გამოცანები, აკროსტიხი, ანდაზა, ციფირების ამოცანა, არითმეტიკული ამოცანა, რებუსი, ახსნა და განცხადება.

\* \* «ივერიაში» ერთი დიდი სტატია არის დაბეჭდილი, რომელშიც მოყვანილია გამოკვლევა, თუ სად დაიბადა რაფიელ ერისთავი. დიდის გამოკვლევის შემდეგ, ავტორი ამ სტატიის ამტკიცებს, რომ იგი დაიბადა ლ. ქისტაურში. ეს რომ ნამდვილია მით ამტკიცებს ავტორი, რომ თვით რაფიელს უთქვამს: მე სოფელ ქისტაურში იმა და ამ ოთახში (ოთახიც უჩვენებია) დაიბადეო! მართლაც საკვირველია, როგორ დაანახსოვრდა ახალ დაბადებულ ბავშვს ის ოთახი, რომელშიაც დაიბადა!?

\* \* საქართველოს ექსარხოსს განუზრახავს ტფილისში სამრევლოები მოაწყოს სხვა ნაირად, შესცვალოს აუ არსებული წესი. ტფილისში, როგორც მოგესხენებათ, მრევლი მღვდელს მისდევს. სადაც გადიყვანდ მოღღვარს, მისი მრევლიც იქ დაიარება სალოცავად. ამას გარდა, თვითველ ეკლესიის მრევლი სხვა-და-სხვა უბნებში ცხოვრობენ და იქიდან დაიარებიან თავისს ეკლესიაში თუნდაც გვერდში სხვა ეკლესია ჰქოდეს. ახალი წესით-კი, რომელიც საქართველოს ექსარხოსს ჰსურს შემოიღოს, ყოველ ეკლესიის მრევლს უნდა შეადგენდეს ის უბანი, სადაც არის თვისი ეკლესია, ასე რომ, მაგალითად, ქაშვეთის მრე-

ვლი შეიძლება მოჰყვეს მამა-დავითისაში, კუკიის წმ. ნიკოლოზისა ალექსადრე-ნეველისაში და სხვა.

\* \* გამოცხადებულია, რომ ოლქის ზედამხედველი სამრევლო სკოლებისა საქართველოს საექსარხოსოში დეკ. იოანე ვოსტარგოვი უწმ. სინოდის ბრძანებით დაუნიშნავთ საქართველოს სასინოდო კანტორის წევრად.

\* \* «მწყემსი»-ს რედაქციამ მიიღო ახალი წიგნები: 1) Вальваръ II Иодасафъ, ქართული ტექსტი XI—XII საუკუნ. ხელთნაწერებიდან, ორის პალეოგრაფიულ ტაბლიცით, თარგმნილი და წინასიტყვაობა ა. ხახანაშვილისა. გამოცემა მისივე.

2) აღმოსავლეთის ფონეტიური ანბანი განმარტებითი წერილით, შედგენილი მაჰომედ შახტახტინსკისა.

\* \* მისის 7-ს საღამოს 7 1/2 საათზედ დიდის სასახლის დიდს დარბაზში ცარსკოე სელოში სადღესასწაულო სადილი იყო პრეზიდენტის პატივისსაცემლად მათ უღიდებულესობათა თანადასწრებით. ხელმწიფე იმპერატორმა ინება და წარმოსთქვა შემდეგი სადღეგრძელო ფრანგულად: ვისურვებ გულთა და სულითა, რომ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბ-ნო პრეზიდენტო. იმედი მაქვს, რომ თქვენი ყოფნა ჩვენ შორის საუკეთესო საბუთს მოგცემთ დარწმუნდეთ, თუ რა გრძნობანი აკავშირებენ საფრანგეთსა და რუსეთს. ინებას ღმერთმა, რომ თქვენც ისეთი სასიამოვნო მოგონება ჩაგრჩენოდეთ გულში აქ ყოფნით, რა მოგონებაც მე და იმპერატორს არ გვშორდება გონებიდან, როცა გვახსენდება, რა სიამოვნებით ვავატარეთ რამოდენიმე დღე შარშან საფრანგეთში. ესვამ, ბ-ნო პრეზიდენტო, სადღეგრძელოს თქვენდა პატივ-საცემლად, ჩვენდა მგობარისა და მოკავშირე ტურფა ქვეყნის საიდლებლად და საკეთილდღეოდ. პრეზიდენტმა უპასუხა შემდეგის სადღეგრძელოს სიტყვებით: ბატონო, ვიახელით-რა თქვენის მოწვევით, ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა მოგახსენოთ საფრანგეთის კეთილი სურვილი თქვენდა მიმართ, იმ საფრანგეთისა, რომელიც მუდამ გამსჭვალულია თქვენდამი იმავე გრძნობით, რომლის გამოცხადება თქვენ თვითონ იხილეთ. რამდენიმე საათი საკმაო იყო ჩემთვის, რომ მეც დავრწმუნებულიყავ, ჩემის მხრივ თუ რაოდენ ერთგვარად სცემს გული რუსეთისა



და ჩემის ქვეყნისა. საფრანგეთი ბედნიერი იქნება ამ ხმა-შეწყობილის ერთიანის გრძნობით, რომლის მოგონებაც, როგორც თქვენზე ბრძანეთ, გულს ჩაგრათ თქვენცა, თქვენი უდიდებულესობავ და ხელმწიფე იმპერატორსაცა. დიდად მაძლობელი ასეთის მიღებისათვის, ვსვამ სადღეგრძელოს თქვენის უდიდებულესობისა, ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე იმპერატორცა მარიამისა და სრულიად სამიმპერატორო სახელეულობის პატივ-საცემლად. ვსვამ სადღეგრძელოს საკეთილ-დღეოდ და სადიდებლად რუსეთისა, რომელიც გულ-წრფელი და ერთგული მეგობარია და მოკავშირე საფრანგეთისა. სადილოს შემდეგ მათა უდიდებულესობათა ჩამოუარეს თავიანთ სტუმრებს. 10 საათზედ სვანგებო მატარებელი მოწვეულის სტუმრებით გაემართა პეტერბურგს. საღამოზედ პეტერბურგის საქალაქო საბჭოს დარბაზებში გამართულ იქნა წვეულობა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და საფრანგეთის ესკადრის რუსეთში მოსვლის პატივსაცემლად. 11 საათისათვის მოვიდნენ აღმირალი რუსეთის, ზღვათა სამინისტროს გამგებელი და საფრანგეთის ელჩი. ქალაქის მოურავმა წარმოსთქვა სიტყვა. მის სიტყვას მოჰყვა ერთობილი ძახილი ურას და საფრანგეთის საეროვნო საგალობელი.

—სენატორი ტაინი სოვეტნიკი ზერევი დანიშნულია ბექედითი საქმეთა მთავარ სამართველოს უფროსად.

—პრეზიდენტმა ლუბემ დაათვალიერა ფრანგულის საქველმოქმედო საზოგადოების სამკურნალო და სამოწყალო სახლი; მერე გავიდა ლამაზად მორთულს ბაღში, სადაც უნდა მომხდარიყო საძირკვლის ჩაყრა საავადმყოფო პავილიონისა პრეზიდენტი ემილ ლუბეს სახელობაზედ; საძირკველის ჩაყრის ადგილს გადახდილ იქნა პარაკ. მე-12 საათის დასაწყისში პრეზიდენტი წავიდა ფრანგების საქველ-მოქმედო საზოგადოებიდგან მარსელიეზითა და აღტაცებულის ძახილით გაცილებულად და ესტუმრა დიდს მთავარს კონსტანტინე კონსტანტინეს ძეს სადარბაზოდ მარმარილოს სასახლეში; შემდეგ მივიდა საფრანგეთის საელჩო სასახლეში. 11 საათზედ და 50 წამ. საელჩო სასახლეში გამართული იყო საუბრე, რომელიც უძღვნა წარჩინებულმა სტუმარმა რუსეთის მინისტრებსა უმაღლეს

კარის კაცთა და სხვათა. ნაშუადღევს 3 საათზედ პრეზიდენტი და მისი ამაღა იყო აღექსანდრე ნეველის ლაგრაში; ლაგრის სამების ტაძარში. ამაღონზედ იღვა მაღალ-ყოვლად უსამღვედელოესი ანტონ, მიტროპოლიტი პეტებურგისა და ლადოგისა, ცისფერ სამღვედელ-მთავრო მანტიიდა და თეთრბარტყულათი. მიტროპოლიტმა პრეზიდენტის მისასალმებლად წარმოსთქვა სიტყვა; უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორმა ფრანგულად გაღუთარგმნა პრეზიდენტ სიტყვა მაღალ-ყოვლად უსამღვედელოესისა. შემდეგ მიტროპოლიტი მიუძღვა პრეზიდენტს და აჩენა ლუსკუმა, რომელშიაც განსვენებებდა ნაწილი წმინდა აღექსანდრე ნეველისა. თაყვანი სცეს-რა სწმინდეს, საფრანგეთის სტუმრებმა დაათვალიერეს წმ.-სამების ტაძარი და შემდეგ შევიდნენ მიტროპოლიტის სამყოფელ ბინაზედ; ლაგრის მგლობლები მრავალ ემი-ერთ მიეგებნენ წარჩინებულს სტუმარს; პრეზიდენტი ემუსაიფა მაღალ-ყოვლად უსამღვედელოესს ანტონს. 3 საათსა და 45 წუთზედ საფრანგეთის სტუმარნი წამოვიდნენ აღექსანდრე-ნეველის ლაგრიდან; შემდეგ პრეზიდენტმა დარბაზობით ინახულა მათნი იმპერატორემბითნი უმაღლესობანი დღენი მთავარნი და დიღთა სახელმწიფოთა ელჩნი. იყო ისააკის ტაძარშიაც. 4 საათსა და 45 წუთზე პრეზიდენტი მივიდა სახამთრო სასახლეში, დაათვალიერა ყოველივე, რაც ღირს შესანიშნავი იყო სასახლეში და საგერბო დარბაზში მიიღო სხვა-და-სხვა დებუტაციისაგან საღამო. მეშვიდე საათზედ პრეზიდენტი გამართა ცარსკოე სელოში, საცა 9 საათზედ დიიწყო სადღესასწაულო წარმოდგენა.

\* \* \* „პრავდესტნიკი.“-ში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება სენატორისადმი იმ პირთა პასუხის გების შესახებ, რომელნიც პირდაპირ მონაწილეობას იღებდნენ არეულობაში და სოფლის იმ საზოგადოებათ, რომელნიც ხელს უწყობდნენ არეულობის გაძლიერებას პოლტავის და ხარკოვის გუბერნიებში. ნაბრძანებია, რომ ხაზინიდან 800,000 მან. მიეცეს კონსტანტინოგრადის, პოლტავის, ვოლკოვის და ბოგოდუხოვსკის მაზრების დაზარალებულ მემამულეთ, მიენდოს ზარალის აღნუსხვა საგანგებო კომისიებს და დაედოს სოფლის ამ საზოგადოებათ დამატებითი გადასახადი, რომლის მოკრეფა უნდა მოხდეს არა უგვიანეს ამ წლის მეორე ნახევრისა.



\* \* \* „დელი ტლეგრაფი“ შემდეგ ცნობებს იტყობინება ზავის პირველ მოლაპარაკების შესახებ: „შტინმა, დვეეტმა და დელარემი შეუძღვებელი პირობები წარმოადგინეს. ბოტა, შალკ-ბურგერი და ლუკა მეიერი, პირიქით, მოწადინებული არიან ზავი ჩამოაგდონ, რაც უნდა დაჯდეს.

ბურგების სარდლები ზრდილობიანად იტყეოდნენ, მაგრამ თან ცოტას ლაპარაკობდნენ და ყველაფერს იქვის თვლით უტკეროდნენ. მაზავრობის დროს ცოტას კითხულობდნენ, უფრო ერთმანერთს ებასებოდნენ და თამბაქოს ეწეოდნენ. შტინს ყველაზე უფრო უბედური გამოხედულობა ჰქონდა. იგი ნერვებ აშლილი და აღელვებული იყო. შტინს მეტად აწუხებს თვალების ტკივილი. რამდენჯერმე ექიმმა იყო მოწვეული.

პრეტორიაში ყველას შესაფერი სადგომა მისცეს და საპატია დარაჯი მიუჩინეს. ბურგებს ნება ჰქონდათ ენახათ, ვინც უნდოდათ და წასულიყვნენ, სადაც უნდოდათ, მაგრამ ინგლისელ აფიცრის თანხლებით. გარდა ამისა მათ არ უნდა ელაპარაკნათ არც პოლიტიკაზე და არც ომზე. დელარემი ინახულა თავისი ქალი, რომელიც პრეტორიაში სცხოვრობს.

ბურგები თხოულობდნენ: სამოქალაქო თვითმმართველობა; ყოველი ადმინისტრაციულ საბჭოში (თვით-მმართველობის შემოღებამდე) უმრავლესობა ბურგები უნდა იქნენ; საკუთარი დროშა; ინგლისელ ჯარების გაყვანა ხუთის წლის განმავლობაში; დამოუკიდებლობა (ავტონომია?); ინგლისურ და ჰოლანდურ ენების თანასწორობა; საერთო ანისტია.

ლორდ კიტჩენერმა ფრთხილად შენიშნა, რომ ამგვარი პირობების მიღება ყოველად შეუძლებელია. ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ ბურგები თანდათან უთმობდნენ კიტჩენერს. ბოლოს, როგორც იქნა შეთანხმდნენ. მიღებულ იქნა ინგლისის პირობები: ანისტია, დატყვევებულების დარყოფნები დაბრუნება. მეტროპოლიის (ინგლისის) დანიშნული მთავრობა და შემდეგ პარლამენტი, ორივე უნის თანასწორობა, დანგრეულ ფერმების აღდგენა, სანადრო იარაღის ტარების ნება, კაფრებს საარჩევნო უფლება არ ექნებათ.

18 აპრილს ბურგების სარდლებმა მიიღეს ეს პირობები და წავიდნენ თავიანთ ჯარებთან მოსალაპარაკებლად“.



# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზრწმუნოებასა და კეთილზნებაზე.

ს ი ტ მ შ ა,

თქმულია ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში კვრთაკესსა შეოთსესსა, განრდვეულისსა, შემდგომად :დესესსა. გნებასა, რათა განიკურნო?

ამნაირი კითხვა მისცა ერთხელ მაცხოვარმა, ერთად ერთმა მკურნალმა სულთა და ხორცთა ჩვენთა, ერთს დავრდომილ ვადმყოფ კაცს, განრდვეულს. ის იწვა ოცდა-თვრამეტი წელიწადი და ვერავინ ვერ მოარჩინა. ქალაქ იერუსალიმში იყო ტბა, ცხოვართა საბანელი. ყოველ წელიწადს ერთხელ ანგელოზი ჩამოდიოდა და ამღვრევდა ამ ტბაში წყალს და ვინც პირველად მოასწრებდა ჩასვლას და ბანაობას განიკურნებოდა, რა სნეულეობითაც უნდა ყოფილიყო იგი შეპყრობილი. ამისათვის მრავალზე უმრავლესი სხვადა-სხვა სენით ვადმყოფნი იკრიბებოდნენ აქ და ელოდნენ, წყლის ამღვრევას. მათთვის ხუთი სტოვა—კარიბზე იყო გაკეთებული. აქ იწვნენ ვადმყოფნი და ყოველი მათგანი ცდილობდა სხვისათვის მოესწრო ამღვრეულ წყალში ბანაობა. განრდვეულს არავინ ყავდა ისეთი, რომ მისთვის შემწეობა აღმოეჩინა, სხვებზე უმაღლ მიეყვანა წყალთან და ჩასვდა; თვითონ კი ფეხზე წამოდიოდა და გავლა არ შეეძლო. ყოველთვის სხვები ასწრებდნენ და ასე ამნაირ მდგომარეობაში გაატარა ოცდა-თვრამეტი წელიწადი. დიდი მოთმინება! ოცდა-თვრამეტი წელიწადი კაცის მთელ სიცოცხლეს თუ არა, ნახევარს მაინც შეადგენს და ამოდენი ხნის განმავლობაში





ადამიანი ითმენდეს, სასოებას არ კარგავდეს და თანაც ყოველ წელიწადს იმედი უტრუფდებოდეს, დიდი უბედურებაა, დიდი ტანჯვაა. რასაკვირველია მაცხოვარი მიაქცევდა ყურადღებას ამნაირ ტანჯვას და უნუგეშოდ არ დასტოვებდა, მისზე მოწყალეებს მიიღებდა. ამისათვის, როგორც კი დაინახა ეს ავადმყოფი, ჰკითხა: „გნებავს რათა განიკურნო?“ ყოველი თქვენგანი მიხვდება, წარმოიდგენს, ძმანო ჩემო საყვარელნო, თუ როგორ გაეხარებოდა განრღვეულს ამ სიტყვების გაგონება ზეციურ მკურნალისაგან: «მსურს უფალო» მიუგო მან, „მაგრამ კაცი არა მყავს, რათა რაემს წყალი აღიმდვრეს და შთაცამადოს საბანელსა მას, ვიდრე მე მივიღოდე, სხვა უწინარეს ჩემსა შთავილად და განიკურნოს“. როგორი ნაღვლიანი პასუხია, როგორი ღრმა მწუხარება იხატება ამ სიტყვებში, ქვის გულიც რომ ჰქონდეს კაცს, მიიწვს სიბრაჟის გრძობას აღუძრავს მას. მით უმეტესად ყოველად მოწყალე მაცხოვარი შეიცოდებდა ამოდენი ხნის ტანჯულ კაცს. ოცდათვრამეტი წლის წვალების შემდეგ მისცა მას შეება, განათავისუფლა სენისაგან ეს ბედკრული და უთხრა: „აღსდევ, აღიღე ცხეღარი და ვიდოდე“. ავადმყოფი აღვა, აღიღო ლოგინი თვისი და წარვიდა. აი რას მოგვითხრობს დღევანდელი წაითხული სახარება.

ახლაც ბევრი არიან, კეთილ მორწმუნენო განრღვეულნი, ზოგნი ხორციელად და ზოგნი სულიერად: გონებრივ და ზნეობრივ. პირველნი ისე შესაცოდნენ და საშიშნი არ არიან, როგორც მეორენი. ხორციელად დაუძღურებულნი, დასწეულეზული ადამიანი ყოველთვის გრძობს თავის ცუდმდგომარეობას, ცდილობს რამე სახსარი მოიპოვოს თავის საშველად და სიამოვნებით მიიღებს ყველა-საგან ღარიბებს და წამალს ამ სენის მოსასპობლად. საზოგადოებაც თანაგრძობით ეპყრობა ავადმყოფებს, მათთვის აშენებენ ყველგან საავადმყოფოებს, თავშესაფარებს, სადაც წამალი მუქთად ეძლევათ და ექიმები უსასყიდლოთ სწამლობენ და უფლიან მათ. სულ სხვანაირია გონებრივ განრღვეულების საქმე. ისინი თავიანთ თავს საღ ადამიანებად სთვლიან, წარმოადგენილი აქვთ, რომ ისინი ყველაზე უკეთესები არიან; უნდათ, ცდილობენ

სხვებიც მათი მოაზრენი, მათი მიმართულებისანი გახდნენ. დიდ-გულობა, ზვაობა, ამპარტავანება იხატება ყოველ მათ სიტყვაში და მიხრა-მოხრაში. რაც შეეხება ზნეობრივ განრღვეულებას, მათი რიცხვიც სამწუხაროდ ბევრია, ნამეტურ ქალაქებში, ვინემ სოფლებში. უწინ სირცხვილი მიიწვიოდნენ, თავიანთ სიწამზდრეს, დაცემულობას, განხრწნილებას მალავდნენ. ახლა კი მოურიღებულად, აშკარად ყველას თვლის წინ იმას ჩადიან, რაც ერთად ერთს პირუტყვს შეფერის. ოჯახი, ეს საფუძველი, საძირკველი კაცობრიობის კეთილდღეობისა, შერყეულია. ცოლი ცოლად აღარივლება, დედა დედობას აღარ სწევს, თავს ანებებს ქმარ-შვილებს და თავისუფლებას ეძებს. ქალი შეიქნება თუ არა გასათხოვარი, თავს ანებებს დედმამას, თავის ქუაუზე დაიარება, არავითარ ყურადღებას არ აქცევს თავის გამზრდელთა დარიგებას. ვაჟი, შეიქნება თუ არა ასაკოვანი, მაშინვე დიწყებს წანწალს და გადამეტრევა ვისმეს იმისთანას, რომელიც დიდხანს ვერ გაუწევს ცოლობას, მალე გაეყრება; ან და თვითონ შეგვეული სიწამზდრეს, გარყენილობას, ვერ იქნება ერთგული, ცოლს ვარდა სხვას ვისმეს აითრევს და მით ცოლ-ქმრობის კვეშის დაარღვევს. ზოგნი ცდილობენ მეტად ხელგაშლილად იცხოვრონ, თავიანთ შემოსავალს არ ჯერდებიან, ვალს იღებენ, გადახდიან კი ვერ იხდიან და ამით სხვებსაც აღარბებენ. დღე და დამ ლოთობაში, ქაღალდის თამაშში ატარებენ და მით თავის სხეულს აუძღურებენ, დღეს იმოკლებენ. ერთობ ადრე იწყებენ ცხოვრებას, მალე ცდილობენ განცხრობით იცხოვრონ, მაგრამ ჩქარა მოსწყინდებთ, მობეზრდებთ ამნაირი დროსატარება, სასოწარკვეთილებაში ვარდებიან და უღროვოდ ესალმებიან ამ წუთისოფელს.

როდემდისინ უნდა გაგრძელებს ჩვენი ასეთი სამწუხარო მდგომარეობა? ნუ თუ კაცი ერთ და იგივე მდგომარეობაში უნდა დარჩეს სამუდამოდ? ღმერთმა ნუ ქნას. მაშინ სულ დავიღუბებოდი. მაშ რა ვქნათ? ნუ თუ ვერავინ დაგვიხსნის ამ სამწუხარო მდგომარეობიდან? კაცთაგან ვერავინ. მხოლოდ ერთად-ერთი ზეციური მკურნალი, მაცხოვარი, რომელიც ყოველ ჩვენგანს წამ და უწყუმ ეუბნება: „გნებავს რათა განიკურნო?“ მხოლოდ



ის არის ჩენი მხსნელი. ჩვენ კი ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ მიუგოთ, როგორც მიუგო განრღვეულმა: „გესურს უფალო, მაგრამ არაეინ გეყავს კაცთაგან, რომ გვიშველოს, მხოლოდ უენ, უენ გვევდრებით გარდამოგვივლინო მადლი სულისა წმიდისა, ვაგვეწმიდო ყოვლისაგან ბიწისა და განგვინათო სულნი ჩვენნი“, მაშინ ჩვენც გავხდებით ღირსნი ამნაირივე პასუხისა, როგორც აღირსა განრღვეულს: „აღსდევ და ვიდოდე“. ამინ.

მღვ. მარკოზ ტეჟმალაძე.

**გ ა რ ე შ ი.**

საფრანგეთის სამკურნალო წყლებზე ერთი კაცი ვარდიცევალი, რომელმაც სიცოცხლითვე ანდერძად დასტოვა, რომ ის მადრიდში (ესპანიაში) უნდა დაესაფლავებინათ. ერთი იმისი ნათესავი ქალი ამის გამო წავიდა რკინის გზის სადგურზე, რომ ვაგო, რა დაჯდებოდა მიცვალებულის გადატანა მადრიდში. აქ ქალს გამოუჩნდარიშეს, რომ მიცვალებულის გადატანა დაჯდება 750 მან. ეს ფული ძალიან ებევრა ქალს და დაღონებული გამობრუნდა.

გზაში წამოეწია რკინის გზის ერთი მოსამსახურე და უთხრა:

— მე ვაგივ, რომ თქვენ მიცვალებულის წადება გინდათ და 750 მან. გთხოვეს; მე ამ საქმეს ძალიან იაფად დავისავთ. ჩააცვთ მიცვალებულს; ორი კაცი მხრებში შეუხსნდნენ და სადგურზე მოიყვანონ. მითომ დაშობდა არის და ცემები; სადგურზე აიღებთ პირველი კლასის ბილეთს მადრიდამდის, რომელიც 25 მანეთი ღირს. მე და ერთ კანდუქტორს, რომელიც თვალ-ყურს დაიქერს მიცვალებულზე ცოტა რამეს ვაჩუქებთ, მორჩა და გათავდა.

მეორე დღეს დილით ორმა კაცმა დიდ შალში გახვეული; ქულ ჩამოფხატული თვალეზამდის, მიცვალებული მოიყვანეს და პირველი კლასის კუბეში კუთხეში დასვეს. გზაში რამდენჯერმე შევიდოდა ხოლმე კუბეში კონდუქტორი და ჩუმიად დათვალიერებდა მკვდარს.

გზაში, კონდუქტორის შეუქჩნეულად, ერთი

ინგლისელი ჩაჯდა იმ კუბეში, სადაც მკვდარი იყო. ინგლისელს ჩიბუხის მოწვევა მოუწნდა და ზრდილობიანად სთხოვა ნებართვა თავის თანამგზავრს; იმან რასაკვირველია, ხმა არ გასცა. უთუოთ სძინავსო, იფიქრა ინგლისელმა და ჩიბუხს მოუკიდა. მაგრამ რადგანაც ფანჯრის გაღება უნდოდა, რომ ბოლი გარედ გასულიყო, ხელმეორედ მიუბრუნდა უცნობ მგზავრს:

—ნებას მომცემთ, ფანჯარა გავაღო?

ის კიდევ ჩუმიად იყო.

„რა უცნაური კაცი ყოფილა“, იფიქრა ინგლისელმა. ამის შემდეგ ერთი საკვირველი ამბავი მოხდა ერთ სადგურზედ, როდესაც მატარებელი ერთი გზიდან მეორეზედ გადაჰყავდა, ვაგონები ძალიან ეხლებოდა ერთმანეთს, მგზავრი იატაკზე დაეცა. მატარებელი კვლავ გზას გაუღდა. ინგლისელი საშინლად გაოცდა, რომ წაქცეული მგზავრი არა დგება და მიეშველა ასაყენებლად—ხელი რომ მოჰკიდა, ნახა რომ იმისი ხელი ყინულივით ცივია,

—საბრალო მგზავრი მომკვდარა, სთქვა ინგლისელმა და თან იფიქრა: „ამ დაწყვეტილ მხარეში შეიძლება დამაბრალონ, რომ მე მოკვალი, როგორმე უნდა მოვიშორო თავიდან ეს უსიამოვნება“. ბევრი აღარ უფიქრია, დასტაცა მკვდარს ხელი გააღო კარები და ამ გაქანებული მატარებლიდან გადაუძახა მინდორში!


პატარა ხანს უკან კონდუქტორი კიდევ შევიდა კუბეში და ხანა მშრალი დარჩა, რომ მგზავრი თავის ალაგს აღარ დახვდა. შემდეგ მიუბრუნდა ინგლისელს:

—თქვენი ბილეთი.— და მერე დაუმატა, თითქო მოაგონდა რამეო:

—მგონია, ამ კუბეში კიდევ ერთი მგზავრი მოლიოდა!

—ჰო, დიახ,—უპასუხა ინგლისელმა, და თან ცდილობდა, დამშვიდებულად ეჩვენებინა თავი...— მოლიოდა, მაგრამ უკანასკნელ სადგურზე ვაგონიდან გავიდა კარში.

შიშით და გაკვირვებით კონდუქტორი სულ გაქვავდა: „მკვდარი როგორ გავიდა კუბედანაო!“







**რედაქციის პასუხი.**

მამა მ—ს ნ—ეს. ერთ დროს ბატონი რიკოვის-თანა საყვარელი და სარწმუნოების კაცი არავინ იყო. წირვა-ლოცვის არ აკლდებოდა და ღვთის-მსახურების დროს კლიროსზე მონაწილეობას იღებდა უბრალო მკითხველებთან და მგალობლებთან, მაგრამ რა ჩიღინა ხომ იცით? საქვეყნოდ გამოუაშკარავებელი ანგარიშის ნუ გრწამს რა, ბნელით მოკული საქმე ძნელი სანდობია. ეხლანდელი განათლებულების სიტყვას საქმე არ ეთანხმება...

მდ. ი—ე შ—ს. დიდად გმადლობთ წერილის მოწერისათვის, რომელშიაც საქურო ცნობები შემეტყობინეთ.

რამდენიმე ჩვენს მკითხველს. ჩვენთვისაც ძლიერ სასიამოვნოა, რომ ყველაფერი თვის დროზე ესწრებოდეს, მაგრამ არ ხერხდება. რომ იცოდეთ ჩვენი გარემოება, სულ სხვას იტყვიო...

ღამბაშიძესთან, თბილისში წყარა-კოხის გამაერცვლელ საზოგადოების წიგნის მ-ლაზაში, ბ. შიოტუაშვილთან. ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭარათან; სახლსენჯში — ბლაღოჩინ მამა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთა და ღარიბთა განათებით დაეთმო ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ.

რედაქცია იმყოფება დ. ეგერალაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარუეშკა უკრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Вь Квирилы, в редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახვევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კათალიკი დრო-გამოშვებით ჟურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

**მიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის ოქტომბრულ გამოცემათა ქართულს**

**„მწყემსი“-ზე**

ღ

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ. | 6 თვით «მწყემსი» 2 მ.  
— ,, რუსული ,, 3 მ. — ,, რუსული ,, 2 მ.  
— ,, ორივე გამოცემა 4 მ. — ,, ორივე გამოცემა 3 მ.  
მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ეგერალაში რედაქციაში, ქუთაისში ბნ ესტატე

**შ ი ნ ა ა რ ს ი:**

**ოფიციალური განცხადება:** უმაღლესი დაჯილდოვებული. — განიხილებანი უწმიდესი სინოდისა სასულიერო პირთა დაჯილდოვებაზე.

**სალიტერატურა განცხადება:** ბლაღოჩინების პირველი კრება ქ. ქუთაისში, 6 მარტს 1902 წ. — რედაქციების გასაფრთხილებლად. დეკ. დ. ღამბაშიძე. — საისტორიო მასალა, საქართველოს გეოგრაფიების აზრი მე-XVIII საუკუნეში (1789 წ.). — ახლად ნაპოვნი იოანე პეტრიწის თხზულება — კიდევ სამაწილია წიგნების შესახებ. ალ. ნათაძე. — მეთაინის მონასტრის დათვლიერება ეპისკ. კირიონის მიერ. — შემოდგომის თავლობა. რ. ჩხლაძე. — ჟურნალ-გაზეთებიდან. ახალი ამბები და შენიშვნები.

**სავალა და მცანიერება ძინსტინანობრივ სარწმუნოებასა და ძიითი-წმინდობაზე:** სიტყვა, თქმული ქვეშ. წმ. გიორგის ეკლესიაში კვირიაკესა მფოთხესა, განრღვეულისასა, შემდგომად აღსებისა, მღვდლის მარკოზ ტყემალაძის მიერ. — ნარევი. რედაქციის პასუხი. — გან ქაღება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлиси, 9 мая 1902 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елисеи

Типог. редакції журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) вь Квирилахъ вь собст. домѣ.